საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყვილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 24 ივნისი. 2022 წ. №78 (9416) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დეპოლარიზაცია - ათას ერთი ღამის ზღაპარი?!

ტყუილია ყველა თქვენი სიტყვა!..

„სრული პასუხისმგებლობით მინდა ყველას ვუთხრა – ეს ადამიანები, ვინც აქ არიან წარმოდგენილი, მათი დიდი ნაწილი დადიოდა ევროკავშირში, ევროპარლამენტში, ყველგან. ამას ჩვენ პირდაპირ ევროპელი მეგობრები გვიყვებიან, მავნებლურად და მტრულად ეძცეოდნენ ძვეყანას“.

ირაკლი ღარიბაშვილის ამ განცხადებას სხდომათა დარბაზში ხმაური მოჰყვა, ოპოზიციონერმა დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა მას მიმართა, რომ იტყუებოდა. ამასთან, პრემიერმა აღნიშნა, რომ ყველაფერი, რასაც ის ამბობს, არის სიმართლე.

„ავხსნი, რატომ არ არის ტყუილი. ტყუილია ყველა თქვენი სიტყვა, რასაც თქვენ ელაპარაკებით თქვენს მოქალაქეებს. მე ველაპარაკები სიმართლეს. ევროპის სახალხო პარტია, ე.წ. იპიპის პარტია, არის თქვენი მთავარი პარტნიორი. ევროპის სახალხო პარტიამ მათი რეკომენდაციებით მოამზადა ყველაზე სამარცხვინო ტექსტი, უსამართლობის ზეიმი, ეს იყო პირდაპირი მხილება და მტკიცებულება იმისა, რომ ამ ადამიანებს არ სურდათ, საქართველოს მიეღო კანდიდატის სტატუსი. „ნაციონალურ მოძრაობას“, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, არ სურდა და არ სურს, რომ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, ამას გეუბნებით სრული პასუხისმგებლობით, ფაქტებზე დამყარებულ ინფორმაციას ვუზიარებ ჩვენს მოქალაქეებს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრეზიდენტმა კანონს მოსმენების შესახებ ვეტო დაადო

პრეზიდენტის განმარტებით, მან იცის, რომ ვეტო დაძლეული იქნება, თუმცა არსებულ ვითარებაში მის ნაბიჯს უფრო პოლიტიკური, ვიდრე სამართლებრივი დატვირთვა აქვს.

„დღეს ვიყენებ ვეტოს კანონზე, რომელიც ეხება მოსმენებსა და მოსმენების გაფართოებას და ამდენად, ადამიანის უფლებების შეზღუდვას. ვიყენებ იმიტომ, რომ ეს უნდა იყოს ნიშანი იმისა, რომ მე მას არ ვეთანხმები. ვიცი, რომ ვეტო დაძლეული იქნება და შინაარსობრივად არ შეცვლის. მაგრამ ყოველივე კანონს, რომელიც ამ 6 თვის განმავლობაში არასწორი მიმართულებით იქნება მიღებული, დავადებ ვეტოს. ეს უფრო პოლიტიკური ვეტოა, ვიდრე სამართლებრივი. იმიტომ რომ არ შეიძლება ამ დღეებში საქართველოში მიღებული იყოს ასეთი კანონი, რომელიც კიდევ ავიწროებს ადამიანის უფლებებს, როცა პირიქით გვთხოვენ, რომ ამ მიმართულებით მივცეთ მეტი გარანტიები, ვიყოთ უფრო დემოკრატიულები, ვიყოთ უფრო ევროპელები“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ირაკლი კობახიძე: პრეზიდენტის გადაწყვეტილება აბსოლუტურად გაუგებარია!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე პარლამენტში, ჟურნალისტებთან საუბრისას, მოსმენების შესახებ კანონთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას გამოეხმაურა.

„ამ კანონპროექტის ისტორია შემდეგი იყო – ჩვენ დავიწყეთ ამ კანონპროექტის განხილვა, პირველი მოსმენით, დაახლოებით სამი თვის წინ დავიწყეთ. ჩვეულებრივი მსჯელობა იყო როგორც კომიტეტში, ისე – პლენარულ სხდომაზე. ამის შემდეგ, უცხოელი პარტნიორებისგან იყო თხოვნა ორი კვირით გადადებასთან დაკავშირებით, რაც ჩვენ გავითვალისწინეთ. დამატებით, ორი კვირა, ანუ ჯამში, ერთი თვე მივეცით ყველას, მათ შორის, ოპოზიციას, უცხოელ პარტნიორებს, NGO-ებს, რომ საკუთარი შენიშვნები და კომენტარები წარმოედგინათ. მათ, ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, არც ერთი კომენტარი არ წამოუდგენიათ. მეტიც, როდესაც პარლამენტში მეორე მოსმენა გაიმართა, ოპოზიციის მხრიდან არც ერთი გამოსვლა არ ყოფილა და არც ერთი კითხვა არ დასმულა, არც ერთი შენიშვნა არ წარმოუდგენიათ. როდესაც კანონპროექტის განხილვა 2 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში გრძელდება, ვერც ერთ შენიშვნას ვერ წარმოადგენენ და, საბოლოო ჯამში, იღებ კანონპროექტს, რომელიც მთლიანად თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან და სტრასბურგის პრაქტიკასთან და ამის მერე, კიდევ ვეტოს ადებენ, მე ძალიან მაინტერესებს, რა წერია ამ ვეტოში. სამართლებრივი ვერაფერი ეწერება. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად გაუგებარია“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

შენ დაუკა! გაოგნებული პრეზიდენტი ამოიფრქვა!..

სალომე ზურაბიშვილი: რაც დავინახეთ პარლამენტში, არის სრულიად იმის საპირისპირო, რაც აჩვენა საზოგადოებამ!

მე ვარ სრულიად შეშფოთებული იმით, რაც მოვისმინე დღეს პარლამენტში. ჯერ ერთი, რაც დავინახეთ პარლამენტში, არის სრულიად იმისი საპირისპირო, რაც აჩვენა საზოგადოებამ. ხალხმა აჩვენა თავშეკავება, ზრდილობა, ერთმანეთის პატივისცემა, პარლამენტმა აჩვენა საპირისპირო – დაპირისპირება, ლანძღვა, ერთმანეთის გაუტანლობა, არმოსმენა, მოკლედ ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გვეჩვენებინა ჩვენი უარყოფითი სახის შესახებ, თქვა საქართველოს პრეზიდენტმა.

„ამას დაემატა პრემიერის გამოსვლა, თუ რამე გამოსვლა შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელიც გააგზავნიდა ბრიუსელში ნეგატიურ სურათსა და გზავნილს. რომ ჩვენ ყველაზე კარგები ვართ თურმე, ჩვენ ყველაზე კარგები ვართ, რომ ყველაფერი კარგად გავაკეთეთ, არაფერი არ გვიჭირს, ვართ ბევრად უკეთესები, ვიდრე თქვენი უკრაინა და მოლდოვა, ვერ გავიგეთ, რატომ არიან ისინი ჩვენზე წინ. ერთადერთი იმიტომ, რომ თქვენ ომი გინდოდათ და ჩვენ ომი არ გვინდა. ანუ აბსურდი იყო და თან ძალიან შეურაცხმყოფელი იყო თავის შინაარსით. შენ როცა ელოდები ჩვენი პარტნიორებისგან ესოდენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, სულ მცირე, მოგეთხოვება ორი რამ – ერთი, რომ შენი ხალხის ხმა გაიგო, რაც მოეთხოვება ნებისმიერ ხელისუფლებას და მეორეც, რომ შენ გაიგო, შენგან რას ელოდებიან ის პარტნიორები, რომლებიც ზეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ისინი ელოდებოდნენ ერთ მარტივ რამეს, რომ გამოთქმულიყო ნება, კი ჩვენ წავიკითხეთ რეკომენდაციები, ამას ჩვენ გავაანალიზებთ და მზად ვართ, ყველამ ერთად არაპოლარიზებულად ყველაფერი გავაკეთოთ, რომ წლის ბოლოს შევასრულოთ ის, რაც არის ჩვენს მიმართ გზავნილი, რომ თუ გადადგამთ რამდენიმე ნაბიჯს, პოლიტიკური ნება გამოჩნდება, თქვენ მიიღებთ კანდიდატის სტატუსს. ვინც მოუსმინა, მგონი, გაოგნებულია დღევანდელი დღით. მეც ვარ გაოგნებული. მინდა,აქედან გავაგზავნო ბრიუსელში გზავნილი, რომ ეს არ არის საქართველო, ეს არ არის საქართველოს მოსახლეობის ნება, ეს არ ვიცი, რას წარმოადგენს, ნებსით ხდება თუ უნებლიეთ, საგანგებოდ არის გაკეთებული, უკვე ამ ყველაფერზე პასუხი აღარ მაქვს“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

რამაზ საყვარელიძე: ვთვლი, ③ რომ ევროპელებს ბევრი შეცდომა მოსდით!

ზაურ ნაჭყებია: მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ კავკასიელი და არავითარი ევროპელი! ④

დეპოლარიზაცია - ათას ერთი ღამის ზღაპარი?!

(პირველი გვერდიდან)

ირაკლი ღარიბაშვილი: 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩავიბარეთ მძიმე მემკვიდრეობა, ავტორიტარული რეჟიმი, სადაც დემოკრატიის არავითარი ნიშანწყალი არ არსებობდა

2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩავიბარეთ მძიმე მემკვიდრეობა — დამყარებული, დიქტატურა, ავტორიტარული რეჟიმი, სადაც ადამიანებს კლავდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, ბიზნესს ართმევდნენ, ოჯახებს ანადგურებდნენ, სადაც არავითარი ნიშანწყალი დემოკრატიის არ არსებობდა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში, მთავრობის წლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

„ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მართლაც იმ მძიმე მემკვიდრეობიდან, რომელიც ჩვენ დაგვხვდა — რეალურად დამყარებული, დამკვიდრებული დიქტატურა, ავტორიტარული რეჟიმი, სადაც ადამიანებს კლავდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ, ბიზნესს ართმევდნენ, ოჯახებს ანადგურებდნენ; ასეთი მემკვიდრეობის შემდეგ, სადაც დემოკრატიის არავითარი ნიშანწყალი არ არსებობდა, არავითარი მედიათავისუფლება არ არსებობდა ქვეყანაში, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება არ არსებობდა და რეალურად მთელი სახელმწიფო მანქანა, სისტემა იყო გადაქცეული რეპრესიულ სისტემად, ჩაგვრისა და მოქალაქეების განადგურების სისტემად — აი, ეს მემკვიდრეობა ჩავიბარეთ ჩვენ 2012 წლის პირველ ოქტომბერს. მინდა, ყველას შევახსენო, რომ სასამართლო მაშინ იყო ჩვეულებრივი ნოტარიუსის ოფისი, რასაც დაავალებდა პროკურორი, იმ გადაწყვეტილებას მიიღებდა მოსამართლე. აი, ეს მემკვიდრეობა დაგვიტოვეთ თქვენ, ძვირფასო ბატონებო. რაც შეეხება მედიათავისუფლებას, ქვეყანაში არც ერთი რეალური, ძლიერი ოპოზიციური არხი არ არსებობდა“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კეზერაშვილი არის ნამდვილი ოლიგარქი, მის მოპარულ მილიონებზე რატომ კითხვა არ უჩნდებათ ჩვენს ევროპელ მეგობრებს?!

„ვინ არის დავით კეზერაშვილი — დღეს კეზერაშვილი არის ნამდვილი ოლიგარქი, რომელიც აფინანსებს სამივე ტელევიზიას „მთავარს“, „ფორმულას“, „ტვ პირველს“, აფინანსებს მათ ხელფასებს და ა.შ. ბატონი კეზერაშვილი მოპარული, ნაძარცვი ფულით. კითხვა რატომ არავის უჩნდება, მათ შორის „იპიპის“ სამას დეპუტატს. ეს კაცი იყო თავდაცვის მინისტრი, გენერალი დევი ჭანკოტაძე აქ არის და მან კარგად იცის, რას ვიტყვი. ომის დროს კეზერაშვილი იყო თავდაცვის მინისტრი, მთელმა ჯარმა ნახა გაქცეული თავდაცვის მინისტრი თავის კოლონით.

კეზერაშვილი როგორც კი წავიდა მთავრობიდან, როგორ მოახერხა რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის აკუმულირება საკუთარ ანგარიშებზე? კითხვა არ გიჩნდებათ მეგობრებო? კითხვა არ უჩნდებათ ჩვენს ვითომ ევროპელ მეგობრებს? აქ რომ ჩამოჰყავთ კუბილიუსი, კარლ ბილდტი, ფოტიგა და სხვები. კეზერაშვილის კომპანიას ერთი მილიარდი დოლარი ჰქონდა აუდიტირებული შემოსავალი. აუდიტის დასკვნის დოკუმენტი იქნა გამჟღავნებული 2013 წელს. კეზერაშვილის კომპანიას ერთი მილიარდის ბრუნვა ჰქონდა 2012 წელს. კითხვას გისვამთ ყველას, აქ რომ ხართ და წარმოაჩენთ, თითქოს დიდი ევროპული დემოკრატიის მხარდამჭერები ხართ და მინდა, მივმართო თქვენს ლობისტებს — როგორ ხდება, რომ თავდაცვის მინისტრი მიდის, კაცი, რომელიც მოვიდა არაფრით და გახდა ასეულობით მილიონის მფლობელი...

მიხეილ სააკაშვილი არის მთავარი ოლიგარქი თავისი ოჯახით, ის არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მთავარი პრობლემა

...სააკაშვილი არის მთავარი ოლიგარქი თავისი ოჯახით, მისი ბიძა თემურ ალასანია არის ოლიგარქი, **რომელიც პრეზიდენტს მართავდა, სააკაშვილის დედა არის ოლიგარქი,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში მთავრობის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, დესტაბილიზაციის მთავარი ფაქტორი მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობაა“.

„დადასტურებული ასი მილიონის ქონება აქვს გიული ალასანიას. სააკაშვილს აქვს დადასტურებული ასეულობით მილიონი. სააკაშვილი არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მთავარი პრობლემა. რა გვარებიც ჩამოვთვალე, ისინი არიან პრობლემა. დესტაბილიზაციის, ჩვენი ხალხის სიმშვიდის და სტაბილურობის მთავარი ფაქტორი არის სააკაშვილი და მისი პარტია“...

დავით ბაქრაძე დადიოდა და ემუდარებოდა ევროპელებს, რომ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი არ მიეცათ, დაესაჯათ ქართველი ხალხი, ეს არის მტრობა!!!

„ჩვენმა მთავრობამ, პარლამენტმა, ჩვენმა გუნდმა გააკეთა მაქსიმუმი, რათა ჩვენი ქვეყანა რეალურად დაგვეახლოვებინა ევროპასთან.

მინდა, ვთქვა მთავარი, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, ჩვენმა მთავრობამ, პარლამენტმა, ჩვენმა გუნდმა გააკეთა მაქსიმუმი, რათა ჩვენი ქვეყანა რეალურად დაგვეახლოვებინა ევროპასთან. მინდა, რამდენიმე ძირითადი მიღწევა გამოვყო, რომელიც ბატონი ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. ესენია, ასოცირების შეთანხმების გაფორმება, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, და ახლა უკვე ისტორიული ჩანაწერი ევროპული პერსპექტივის და კანდიდატის სტატუსის სახით. შესაბამისად, თუ ამ პროცესში რაიმე ხელის შეშლა ყოფილა, ეს უკავშირდება ამათ მავნებლობას. დაწყებული უვიზო რეჟიმის მიღების დროს ბატონი დავით ბაქრაძე, კაცი, რომელიც პარლამენტის სპიკერი იყო და ამ სავარძელში იჯდა, პირადად დადიოდა და ეხვეწებოდა, ემუდარებოდა ევროპელებს, რომ რამენაირად ჩვენი მთავრობის დროს, „ქართული ოცნების“ პირობებში, უვიზო რეჟიმი არ მიეცათ საქართველოსთვის, დაესაჯათ საქართველო და ქართველი ხალხი. კანდელაკზე ალარ ვსაუბრობ, ყოველ უმსგავსობას ჩვენი ევროპელი მეგობრები მისგან იგებდნენ, ათას ბრალდებას, ცილისწამებას. ეს ხართ თქვენ. ეს არის მავნებლობა და ქვეყნის მტრობა“!.

ანა ნაცვლიშვილო, ხაზარაძე ანაკლიის პორტის არაშენებისთვის რამდენს ედავება საქართველოს, ხომ არ იცით? მილიარდ ხუთას მილიონ დოლარს! სულ ეს არის თქვენი პარტია, მაგიტომაც მიიღეთ ერთი პროცენტი

ხაზარაძე ანაკლიის პორტის არაშენებისთვის ედავება საქართველოს მილიარდ ხუთას მილიონ დოლარს, **ეს ხართ თქვენ, ეს არის თქვენი პარტია, მაგიტომაც მიიღეთ ერთი პროცენტი,** — ასე მიმართა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის სხდომაზე „ლელოს“ წევრს, ანა ნაცვლიშვილს. პრემიერის თქმით, ხაზარაძე არის ნათელი მაგალითი, ოლიგარქობის მსურველი ბიზნესმენისა.

ანა ნაცვლიშვილი წარმოადგენს პარტიას, რომელიც ეკუთვნის მამუკა ხაზარაძეს, რომელსაც ჰქონდა რეალური სურვილი და განზრახვა, გამხდარიყო ოლიგარქი ბიზნესმენი, რომელსაც უნდა ემართა პოლიტიკა, პარლამენტი, მთავრობა და ა.შ. მინდა შევახსენო, ვის წარმოადგენს ანა ნაცვლიშვილი. მამუკა ხაზარაძე არის ბიზნესმენი, ბანკირი, რომელმაც იმის გამო, რომ ანაკლიის პორტი ვერ ააშენა, რადგან ფული არ დახარჯა, სამი მილიონი დოლარი აქვს დღეის მდგომარეობით დახარჯული. ხაზარაძე ანაკლიის პორტის არაშენებისთვის რამდენს ედავება საქართველოს ხომ არ იცით? მილიარდ ხუთას მილიონ დოლარს. ეს ხართ თქვენ. ეს არის თქვენი პარტია, მაგიტომაც მიიღეთ ერთი პროცენტი. ეს არის ნათელი მაგალითი ოლიგარქობის მსურველი ბიზნესმენისა“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

სააკაშვილის ლიდერობით, თქვენ ყველანი ხართ მოღალატეები!

...ყველაფერი გააკეთეს მათი ლობისტების მეშვეობით და მათი მთავარი მხარდამჭერის, „ევროპის სახალხო პარტიის“ 300 დეპუტატის მობილიზება შეძლეს, მიიღეს ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი რეზოლუცია. აი, ეს გააკეთეთ თქვენ. ეს არის მავნებლობა და მტრობა საქართველოსი. თქვენ წარმოადგენთ მოღალატეების პარტიას, ხაბეიშვილო, შენ და სააკაშვილის ლიდერობით, ყველანი თქვენ ხართ მოღალატეები“...

საკანონმდებლო ორგანოში პრემიერ-მინისტრის ანგარიშის წარდგენა ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. ირაკლი ღარიბაშვილს სიტყვით გამოსვლა რამდენჯერმე შეაწყვეტინეს...

ქართველები დღემდე მოვედით ჩვენი რწმენით და ჩვენი ჯარით!

...ეს დღეები ჩვენ კარგად გვესმის, რომ საკმაოდ ემოციური დღეებია და მე მინდა, კიდევ ერთხელ გაგიზიაროთ ჩემი ხედვა. ამის თაობაზე საჯაროდაც ვისაუბრე და საჯაროდ გამოვთქვი ჩემი გულისტკივილი. ერთ-ერთი გამოკვეთილი არგუმენტი ჩვენი ქვეყნის, საქართველოსი, რის გამოც ჩვენ უფრო მეტს ვიმსახურებდით და ასეთი მოქცევა არ შეიძლებოდა და იყო უსამართლო, სწორედ ის ფაქტებია, რომელიც მე ჩამოვთვალე — ჩვენს მიერ გაღებული სისხლი, ჩვენი ბრძოლა, ომი. ჩვენ სამჯერ ვიომეთ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ქვეყანამ აღიდგინა დამოუკიდებლობა, 2008 წელს თქვენ, ჩვენმა ჯარმა აჩვენა სამაგალითო გმირობა. ჩვენ არავის ჯარს არ ვედრებით, მაგრამ ქართველები ორი მთავარი ძალით მოვედით დღემდე, ეს არის ჩვენი რწმენა, სარწმუნოება, ეკლესია და ჩვენი ჯარი, ჩვენი ხალხი, ჩვენი მეომარი სული. დღეს, სამწუხაროდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. რა თქმა უნდა, მე არავის წარმატება არ მშურს, პირიქით, მიხარია უკრაინელების წარმატებაც, მოლდოველებისაც და ყველასიც, მაგრამ საქართველო იმსახურებდა მეტს და თუ ვინმე იმსახურებდა ამ სამ ქვეყანაში, ვიმსახურებთ ჩვენ. გასაგებია მეგობრებო, ჩვენ ყველას კარგად გვესმის დღეს მსოფლიოში სხვა კონიუნქტურაა, სხვა, ძალიან რთული პროცესები მიმდინარეობს, ჩვენ ამას მშვიდად უნდა შევხვდეთ და გავაგრძელოთ წინსვლა, ჩვენი ქვეყნის გაძლიერება, ჩვენი ჯარის გაძლიერება, ჩვენი ქვეყნის დაცვა, ჩვენი ხალხის დაცვა და ჩვენი მთავარი ოცნება, რომ ყველამ ერთ დღეს და ეს დღე რაც შეიძლება მალე დადგეს, შევხვდეთ გაერთიანებულ, ერთიან, ძლიერ საქართველოში, აი, ეს უნდა იყოს მთავარი გამაერთიანებელი იდეა ჩვენი ერის და ჩვენი ხალხისა! — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილი,
წეროვანი, 23 ივნისი, 2022.

ჟოზეფ ბორელი: ახლა საქართველოს აქვს მკაფიო გზა – როდესაც ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, კანდიდატის სტატუსის მინიჭება ავტომატურად მოხდება

„ჩემი გზავნილია, რომ საქართველოსთვის ეს წინგადადგმული ნაბიჯია. მათ არ უნდა განიხილონ ეს ნეგატიურად. ახლა საქართველოს აქვს მკაფიო გზა, ახლა მათ აქვთ შესასრულებელი საქმეები, აქვთ განრიგი, ასე რომ ეს არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი. გააგრძელეთ ამაზე მუშაობა, თქვენ კარგ გზაზე ხართ. როდესაც ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, კანდიდატის სტატუსის მინიჭება ავტომატურად მოხდება“...

რობერტა მეცოლა: ევროპული საბჭოს დასკვნის ფორმულირება ხსნის გზას საქართველოსთვის

ბოლო დღეებისა და კვირების განმავლობაში ბევრ ქართველს ვესაუბრე. საბჭოს დასკვნის ფორმულირება ხსნის გზას საქართველოსთვის, – ამის შესახებ ევროპარლამენტის პრეზიდენტმა რობერტა მეცოლამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„ეს არის ის, რაც ევროპარლამენტმა განსაზღვრა პირველივე დღიდან, რომ ჩვენ გვჭირდება სამივე ქვეყნის მიღება, როგორც კანდიდატი ქვეყნების. ეს ფორმულირება ასახული იქნება ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება. დღეს ასევე არის ისტორიული და განსაკუთრებული დღე, რადგან გვაქვს ომი ევროპის კონტინენტზე და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მივცემთ კანდიდატის სტატუსს უკრაინასა და მოლდოვას“, – განაცხადა მეცოლამ.

აშშ-ის ჰელსინკის კომისია: კანდიდატის სტატუსი საქართველოსაც უნდა მიანიჭოს

ამერიკის ჰელსინკის კომისია ევროპულ საბჭოს მოუწოდებს, მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს. კომისიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ კანდიდატის სტატუსი სამივე ქვეყანას მათი საერთო ევროპული ოცნების ასრულების შანსს მისცემს.

„საქართველოს მოსახლეობამ ასევე დიდი მსხვერპლი გაიღო ბოლო ათწლეულების განმავლობაში თავისი ევროპული იდენტობისთვის, რუსეთის საომარი მოქმედებებისა და მტკივნეული რეფორმების გამოწვევების მიუხედავად. მათ აჩვენეს, რომ შეუძლიათ, გაუმკლავდნენ გამოწვევებს, თუ გზა სუფთაა. ჩვენ გვჯერა, რომ მათ ასევე უნდა შესთავაზონ ევროკავშირის წევრობის თანაბრად კონკრეტული საგზაო რუკა. ევროპული საბჭოს შეხვედრის წინ ჩვენ მოვუწოდებთ ევროპელ მეგობრებს, მიანიჭონ კანდიდატის სტატუსი სამივე ქვეყანას. ლიბერალური დემოკრატიისკენ გზა არასდროს არის პერიოდული წარუმატებლობების, გადახვევების გარეშე და ყოველთვის საჭიროებს სიფხიზლეს, ფრთხილ ძალისხმევას და კომპრომისს. ჩვენ გვჯერა, რომ კანდიდატის სტატუსი სამივე ქვეყანას მისცემს მათი საერთო ევროპული ოცნების ასრულების შანსს“, – ნათქვამია ჰელსინკის კომისიის განცხადებაში.

კარლ ბილდტი პირდაპირ ლობირებდა სისხლიან რეჟიმს ფულის სანაცვლოდ!

კარლ ბილდტი აიჭრა, რადგან ღარიბაშვილმა მიზანში მოარტყა, ის არის ჩვეულებრივად კორუმპირებული კაცი, ეს არის დადასტურებული დოკუმენტურად, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

ირაკლი კობახიძეს კითხვა დაუსვეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ კარლ ბილდტის ცოლის კომპანიას მილიონები აქვს წაღებული ბიუჯეტიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დრო, „დღეს გამოდის და გვმოძღვრავს“.

„ჩვეულებრივი კორუმპირებული კაცია, რომელიც იყო „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი მთავარი ლობისტი და ქვეყნის დაზიანებაზე აკეთა ფული წლების განმავლობაში. „ნაცმოძრაობა“ როცა ამყარებდა აქ სისხლიან რეჟიმს და აუპატიურებდა ადამიანებს, მაშინ ფულის სანაცვლოდ კარლ ბილდტი ლობირებდა „ნაცმოძრაობის“ სისხლიან რეჟიმს. კარლ ბილდტი არის ყოფილი პოლიტიკოსი, რომელიც არის ერთი ჩვეულებრივი კორუმპირებული კაცი, რაც თქვა პრემიერმა ღარიბაშვილმა და ეს მიზანი მოხვდა ზუსტად კარლ ბილდტს. კორუმპირებული ხალხი არის საშიში და კარლ ბილდტიც იყო საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის, ის პირდაპირ ლობირებდა სისხლიან რეჟიმს. კორუმპირებული კაცი როცა სამარცხვინო რაღაცეებს წერს, მას უნდა გაეცეს პასუხი“, – განაცხადა კობახიძემ.

უკრაინა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა...

რუსეთის ომმა ყველა ჩვენგანი შოკში ჩაგვაგდო, თუმცა ემოციები არ უნდა მივიდეს სიგიჟემდე. ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა გამოიწვია ენერგორესურსების ფასების, ინფლაციის ზრდა და კოლექტიური გაღარიბება, – ამის შესახებ ევროპარლამენტარმა ტომ ვანდენდრიშემ განაცხადა. მისივე თქმით, სანქციები არ აჩერებს ომს და საპირისპიროს აკეთებს. ამასთან, ტომ ვანდენდრიშემ უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უკრაინას არ შეუსრულებია აუცილებელი კრიტერიუმები და არ შეიძლება, შეურთდეს ევროკავშირს.

„სანქციები არ აჩერებს ომს და საპირისპიროს აკეთებს, ჩვენ ვხედავთ ფასების ზრდას. ალბანეთი, თურქეთი და უკრაინა არ არიან მზად ევროკავშირის წევრობისთვის, მათ არ დაუკმაყოფილებიათ აუცილებელი წინაპირობები, კოპენჰაგენის კრიტერიუმები, რაც საჭიროებს კარგად ფუნქციონირებად ბაზარს, მტკიცე კანონის უზენაესობას. უკრაინას არ შეუსრულებია ეს ვალდებულებები. ის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანაა. ჩვენ ყველას ვუქმნით საფრთხეს, ჩვენ ყველა ვიქნებით ჩათრეული ამ ომის ჭაობში. უკრაინა არ შეიძლება, შეუერთდეს ევროკავშირს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირი გადაეშვება სიგიჟეში“, – განაცხადა ტომ ვანდენდრიშემ.

რამაზ საყვარელიძე:
ვთვლი, რომ ევროპელებს ბევრი შეცდომა მოსდით!

„არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოსთან დაკავშირებით შეიძლება გადაიხედოს ევროკომისიის მიერ აქამდე მოტანილი გადაწყვეტილება“, – განაცხადა ანალიტიკოსმა რამაზ საყვარელიძემ.

როგორ ფიქრობთ, რა სიგნალი მიიღო ევროპამ 20 ივნისის აქციიდან? რამდენად არის შესაძლებელი, ევროკომისიამ გადახედოს თავის გადაწყვეტილებას და 24 ივნისს უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, მივიღოთ ევროკავშირის სტატუსი?

– გამორიცხული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ 10%-20%-ით არის ვარიანტი, რომ ეს გადაწყვეტილება გადაიხედოს, რადგან ავტომატურად მიდის პროცესი.

20 ივნისის ორი აქციის მნიშვნელობა არის ანგარიშგასაწევი, – ჩვენთან ამბობენ, რომ „ევროპა გვინდა!“ და ამისთვის გაიმართა დიდი აქცია, მოლდოვაში კი გაიმართა აქცია „არა ევროპა, რუსეთი გვინდა!“

ევროპელმა „დიდმა პოლიტიკოსებმა“ მოლდოვას მისცეს კანდიდატობა და საქართველოს არა. ვინაიდან მოლდოვაში რუსეთის მხარდამჭერთა რიცხვი დიდია, შესაძლოა, სწორედ, ამ ხალხის მათკენ მოტრიალების გამო მიიღეს ეს გადაწყვეტილება, მაგრამ საქართველოს რას ერჩოდნენ, სრულიად გაუგებარია. ის, რაც პირობებად ჩამოთვლილია, რეალურ პირობად ვერ ჩაითვლება, რადგან იგივე პირობები აქვს დათქმული მოლდოვას და უკრაინას, რაც შემდეგ უნდა შეასრულონ. თუ მათთვის შეიძლებოდა მერე შესრულება, საქართველოსთვის რატომ არ შეიძლებოდა, სრულიად გაუგებარია.

ისმის, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლო, სტრატეგიული შეცდომა იყოო და ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება გადაიხედოს აქამდე მოტანილი გადაწყვეტილება, მაგრამ ბიუროკრატიული ინერციის გამო, დიდი ალბათობით, მაინც იგივე დარჩება.

– თქვენ პირადად, პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით უშუალოდ ქვეყნის შიგნით?

– ცდილობდნენ, რომ ეს აქცია დაცლილი ყოფილიყო პოლიტიკური შინაარსისაგან, გამოუვიდათ, რადგან ტრიბუნაზე თითქმის არავინ აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებებს. თუმცა, სტუმრებად ეკრანზე, დაპატიჟეს ის ევროპელი პოლიტიკოსები, ვინც კრიტიკულია ამ ხელისუფლების მიმართ და ეს მათ ღიად თქვეს და სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაერივნენ, რაც აბსოლუტურად დაუშვებელი ნაბიჯია. ფაქტობრივად, ხალხს მოუწოდეს ხელისუფლების შეცვლისკენ.

ასევე, მაგალითად, გიორგი მარგველაშვილმა თქვა, რომ ვადამდელი არჩევნები უნდა დაინიშნოსო. ასე რომ, ამ აქციას კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ელფერი ჰქონდა, მაგრამ მთლიანობაში მაინც მოახერხეს თავის შეკავება იმისგან, რომ ამდენი ხალხი რომ დაინახეს, არ დაეძახათ, აბა, შევუტიოთ მთავრობას ახლაო, რაც ადრინდელ 20 ივნისს გააკეთეს. ახლა თავშეკავება მოხდა, რაც მისასალმებელია.

– რამდენად უწერია აღსრულება მოთხოვნას, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს?

– ორი კერძია ჩვენს პოლიტიკურ სუფრაზე – „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა.“ მესამე კერძი აღარ გვაქვს და აღარც ნაფხვენები არის. კარგი, გადავაგდოთ „ქართული ოცნება,“ ე.ი. უნდა მივირთვათ „ნაციონალური მოძრაობა“? თუ ამის წინაშე დადგება ქართველი ამომრჩეველი, პროგნოზი ადვილია: საკითხი ასე დგება – ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება თუ „ნაციონალური მოძრაობის“ მოყვანა?! თუკი ევროპა გათამაშდა, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მოყვანის ინსტრუმენტი, საქართველო ასეთ ევროპაზე იტყვის უარს, რომ ხელახლა „ნაციონალები“ იყვნენ ხელისუფლების სათავეში.

– ეს ნიშნავს თუ არა ავტომატურად, რომ ამ შემთხვევაში, საქართველოს ორიენტაცია და ისრები რუსეთისკენ გადადის?

– 30 წელია ებრძვი, 3 ომი გადაიტანე რუსეთთან და მის რელსებზე არ გადასულხარ. ახლა რატომ ნიშნავს ამას?! – ეს ვერსია მხოლოდ იმიტომ ჩნდება, რომ „ნაციონალებს“ აწყობთ, დასავლეთს ჩაუდონ ეს. დასავლეთს გეოპოლიტიკური ორიენტაციით საქართველოსთვის ზურგი შეაქცევინონ, რაც პრინციპში მოხდა კიდეც.

– შესაძლოა, ევროკომისიის გადაწყვეტილებამ საქართველოს მოსახლეობის განწყობებზე იმოქმედოს? 80%-ზე მეტი უჭერს მხარს დასავლურ ორიენტაციას, თუ მართლაც ვერ მივიღეთ სტატუსი და ეს პროცესი კიდევ რამდენიმე წელი გაიწელება, შეესაძლოა ეს რიცხვი შემცირდეს?

– დიახ, რა თქმა უნდა. ამაზე აღარ დაფიქრდნენ ევროპელები. ისინი ამბობდნენ, რომ თუ ვინმე იმსახურებდა ამ სტატუსს, მოწინავე იყო საქართველო. მაშინ რატომ შეაქცია ამ საქართველოს ზურგი, გაუგებარია ამ შემთხვევაში.

– და მაინც, რა შეიძლება ყოფილიყო მიზეზი?

– ბოლო დროს ვაკვირდებით, უკრაინის ომის თემაში დასავლეთის წამყვანი ქვეყნები ცდილობენ, იპოვონ ისეთი ვერსია, რომ მოალბონ რუსეთის დამოკიდებულება მათდამი, რომ ნაჩვენები იყოს, ისინი ზრუნავენ რუსეთზე, კომპრომისზე წასვლა რუსეთთან კარგია, რადგან მისი გაბრაზება არ ღირს. ე.ი. ევროპის მთელი რიგი ქვეყნები ცდილობენ, რომ რუსები არ გააღიზიანონ, ამავე დროს, უკრაინა კმაყოფილი ჰყავდეთ. უკრაინის კმაყოფილებას მიაყოლეს მოლდოვაც და რაღაც ხომ უნდა მიეცათ რუსეთისთვის?!

ჩემთვის ეს მოტივი უფრო გასაგები და დამაკმაყოფილებელია იმ ფონზე, რომ ევროპის ქვეყნებმა უკრაინის თემაშიც სცადეს რუსული ინტერესის შემოტანა. სამი ლიდერი ჩავიდა უკრაინაში, რომ უკრაინამ რუსეთს რაღაცები დაუთმოს და შეჩერდეს ომი. ამ განწყობების ფონზე არის მიღებული ქართული გადაწყვეტილებაც.

– როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების ფონზე, საქართველო შესაძლოა რუსეთის მორიგი აგრესიის მსხვერპლი გამხდარიყო?

– არ ველოდებოდი, აბსოლუტურად. საერთოდ არ ვთვლი, რომ ევროპელები პოლიტიკურ საჭადრაკო დაფასთან სწორ სვლებს აკეთებენ, ბევრი შეცდომა მოსდით. დამატებით საომარი მოქმედება თითქმის გამორიცხულია. ის კი არ აწუხებდათ, საქართველოს დაარტყამდა თუ არა რუსეთი, არამედ მათ უსაყვედურებს თუ არა რუსეთი.

მაკრონმა ერთ ქვაბში მოაქცია საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამ ორ ქვეყანაზე რუსეთს გავლენა უკვე აქვს, ჩვენ მიგვაწება ამ გავლენის ზონაში და ამით ისიც გაშიფრა, რომ გიბიძგებს, იყო რუსეთის გავლენის ქვეშ, ისე როგორც არის ეს ორი სახელმწიფო.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

ვახტანგ კაპანაძე:

ნატო ნამდვილად შეიცვლება და აღარ იქნება ის, რაც უკრაინის ომამდე იყო...

„ჩვენ არ ვართ მიამიტები, გვესმის, რომ საქართველოს აქვს ტერიტორიული პრობლემები, უნდა გადავწყვიტოთ ჯერ ეს საკითხი და შემდეგ გავხდეთ ნატოს წევრი“, – საქართველოს პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებას ოპოზიციამ მალევე მოუძებნა სახელი – „ირაკლი ღარიბაშვილი რუსულ პროპაგანდაგზე დაჯდა და ისტორიული სამიტის წინ ნატოს ეუბნება, რომ სანამ ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიდგენს ქვეყანა, ნატოს წევრობა არ იქნება“.

რეალურად კი, ყატარის ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ საქართველოს მოტივაციაა გახდეს ნატოს წევრი, თუმცა აქვე დასძინა, რომ გაწევრება მხოლოდ საქართველოს სურვილზე არაა, კონსენსუსი უნდა შედგეს ყველა წევრ სახელმწიფოს, ალიანსის ყველა მონაწილე ქვეყანას შორის, რომ საქართველოს მიენიჭოს ნატოში წევრობის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ არსებობს პროექტი, რომლის თანახმად მე-5 მუხლი არ უნდა გავრცელდეს აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე მანამ, სანამ ისინი ნატოს წევრი არ გახდებიან. საქართველოს ხელისუფლება კი, ამ პროექტს არ განიხილავს. თუმცა, ეს პრეცედენტული პროექტი თავის დროზე გავრცელდა გერმანიაზე. აღმოსავლეთ გერმანია ნატოში დასავლეთ გერმანიის გარეშე მიიღეს. ასევე იყო კვიპროსის შემთხვევაშიც. როგორ შეიძლება გავიგოთ ეს მესიჯი – ჯერ ტერიტორული მთლიანობა და შემდეგ ნატოს წევრობა – ამ საკითხებთან დაკავშირებით გენერალ-მაიორს, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს, ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ მრჩეველს ვახტანგ კაპანაძეს ვესაუბრეთ.

– ბატონო ვახტანგ, თქვენ როგორ გაიგეთ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ საქართველო ნატოში გაწევრებაზე საუბარს მხოლოდ ტერიტორიული პრობლემების გადაჭრის შემდეგ შეძლებს? როგორ შეიძლება გავიგოთ ეს მესიჯი - ჯერ ტერიტორული მთლიანობა და შემდეგ ნატოს წევრობა?

– ორი საკითხია, იყო ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს – ნატოში მიღების შემთხვევაში მე-5 მუხლი არ გავრცელებულიყო აფხაზეთზე და ოსეთზე. ანუ, ამ ვარიანტზე უარს ვამბობთ?

– ამას, ალბათ, თავად პრემიერ-მინისტრი დააზუსტებს...

– რა თქმა უნდა, ჩვენ განცხადებული გვაქვს, რომ მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, მაგრამ ეს აბსოლუტურად არ გამორიცხავს, რომ შენ არ უნდა იყო მზად იგივე პროვოკაციებისთვის, რაც შეიძლება ოკუპირებული ტერიტორიებიდან განხორციელდეს. გარდა ამისა, თვითონ ნატოში გაწევრება არის პროცესი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არაა მხოლოდ შედეგი, ეს არის პროცესი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. ამავე დროს, იმედს ვიტოვებ, რომ უკრაინის ომის შემდეგ ნატო, ის ნატო აღარ იქნება, რაც აქამდე იყო და შეიძლება იყოს ცოტა უფრო აქტიური საქართველოს მიმართ. ასე რომ, დასრულებული სახით არ მაქვს ჩამოყალიბებული ხედვა.

– შეცვლილი ნატო როგორი შეიძლება იყოს?

– შეცვლილი ნატო იქნება ისეთი, როგორიც იყო 90-იან წლებში, როდესაც იყო უფრო აქტიური, გამბედავი, მოქნილი და მხარდამჭერი, ვიდრე ბოლო პერიოდში, როდესაც იყო ძალიან ტლანქი, მოუქნელი და ნაკლებად ღია.

– გახდება თუ არა საქართველო ნატოს წევრი, ეს დამოკიდებულია მხოლოდ ქვეყნის სტრატეგიულ მზაობასა და მოთმინებაზე, თუ გადამწყვეტია სტრატეგიული პარტნიორების გადაწყვეტილება, რომლებიც არ იცვლიან პოზიციას? რამდენიმე წლის შემდეგ აღიარა რასმუსენმა, რომ 2008 წელს დაუშვეს შეცდომა, როდესაც საქართველოს არ მიანიჭეს მაპი და თქვა, რომ მაშინ წინააღმდეგი იყო გერმანია და საფრანგეთი...

– აბსოლუტურად კომპლექსური საკითხია და დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. შენც უნდა იყო მზად და ნატოც, რომ მიგიღოს. ნატო ერთი ქვეყანა არ არის, 30 ქვეყანაა და, როდესაც ვამბობ ნატოს აქტიურობაზე, აქ მთავარია ნატომ წევრი ქვეყნები ცოტა მეტად გახადოს პროაქტიური და უფრო სწრაფად მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. რაც შეეხება თვითონ იმ საკითხს, უნდა შეიქმნას გარემოება და ამისთვის მზად უნდა იყოს საქართველო და ნატო – ნატოსკენ მიმავალ გზაზე ჩვენი გაჩერება არ შეიძლება, მუდმივად წინ უნდა ვიაროთ. ჩვენი გაჩერება პაუზას არ ნიშნავს, ეს ნიშნავს ჩვენს უკან წამოსვლას. ამიტომ მუდმივად უნდა ვიყოთ მოძრაობაში.

– დღეს ამ გზაზე გაჩერებული ვართ?

– ასე ვიტყოდი – გაჩერებული არ ვართ, მაგრამ ვისურვებდი, რომ უფრო აქტიურები ვიყოთ. ასევე ვისურვებდი, რომ ნატოც უფრო აქტიური იყოს ჩვენს მიმართ.

– როგორც პრემიერმა აღნიშნა, ჩვენი მთავრობის პოლიტიკა მდგომარეობს შემდეგში – ტერიტორიული მთლიანობა აღვიდგინოთ მშვიდობიანი მოლაპარაკების საფუძველზე, უდავოდ სწორია, რომ ჩვენ იარაღზე ვამბობთ უარს, მაგრამ ამის რესურსი გვაქვს კი დღეს?

– ამაში ახალი არაფერია. 2008 წლიდან გვაქვს გამოცხადებული, რომ მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადავწყვიტავთ ტერიტორიულ პრობლემას. ამდენად, აფხაზებისთვის და ოსებისთვის ახალი ამბავი არ იქნება. მე უფრო მგონია, რომ ამ მიმართულებით და განსაკუთრებით აფხაზეთის მიმართულებით, ქმედითი იქნება ის, რომ ჩვენ მაქსიმალურად გავხდეთ ევროკავშირთან დაახლოებული ქვეყანა, რაც ახალგაზრდა თაობას მისცემს საშუალებას, გავიდეს ევროპაში, ნახოს მსოფლიო და არ იყოს რუსეთზე მიჯაჭვული. ეჭვი მეპარება, რომ ეს ეფექტური იქნება სამხრეთ ოსეთის მიმართულებით იმიტომ, რომ იქ არც რაოდენობაა ისეთი და განწყობაც ცოტა სხვანაირია. მაგრამ აფხაზეთის მიმართულებით შეიძლება ნამდვილად იმუშაოს ამ საკითხებმა და, რა თქმა უნდა, აუცილებელია, ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთთან ვისაუბროთ რუსეთის შუამავლობის გარეშე.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ კავკასიელი და არავითარი ევროპელი!

შეუძლებელია, ადამიანები ერთსა და იმავე თემაზე ერთნაირად ფიქრობდნენ – ასე რომ იყოს, მრავალფეროვნება დაიკარგებოდა და ცხოვრებასაც აზრი არ ეძნებოდა.

თუმცა, არის თემები, რომელიც სისხლხორცეულად უკავშირდება ერის (სახელმწიფოს) სასიცოცხლო ინტერესებს და რომელზეც პოზიციის შეჯერება, საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან, აუცილებელია.

მე პატივს ვცემ ნებისმიერ მოსაზრებას, თუნდაც, ჩემთვის არსებითად მიუღებელი იყოს იგი (ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება), მაგრამ, მიმაჩნია, რომ ნებისმიერი აზრი არგუმენტებით უნდა იყოს გამყარებული.

მიუხედავად იმისა, რომ თავად არ ვყოფილვარ 20 ივნისის აქციის მონაწილე, პატივს ვცემ იმ ადამიანებს, ვინც რწმენითა და იმედით იდგა მთავრობის სახლის წინ, დედაქალაქის მთავარ გამზირზე და ევროპას უმტკიცებდა, რომ არ გვინდა ოკუპანტი რუსეთი და ძალიან გვინდა ევროპულ ოჯახში შესვლა.

კი ბატონო, კარგია, რომ გვინდა, მაგრამ, როდემდე უნდა ვიცხოვროთ ილუზიების ტყვეობაში?! ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, არავინ მიგვიღებს, მოლოდინი კი დიდხანს გაიწელება.

სწორედ ამ მოლოდინში ისეთი „საშინაო დავალებები“ შეიძლება მოგვცენ, რომ მიუღებელი აღმოჩნდეს ქართველი ერისთვის!

მე პირადად, ოდესმე რომ მოისურვონ საქართველოს ევროკავშირში გაწევრება, ნამდვილად არ მინდა ასეთი „ჯილდო“, საკუთარი იდენტობისა და ეროვნული ტრადიციების ფეხქვეშ გათელვის ხარჯზე!

ეს რომ ასე იქნება, ევროპარლამენტის ცნობილი რეზოლუციიდან და ევროკომისიის დადგენილებიდანაც აშკარად გამოიკვეთა. უფრო მეტად არ დავკონკრეტდები...

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, დიპლომატიურად, მაგრამ, გასაგებად გვითხრა: საძართველოს წევრობის სტატუსს ვერ მივანიჭებთ, გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული მდებარეობის გამოო! ამაზე მეტი რა უნდა გვითხრან, რომ მივხვდეთ, იძ მივძვრებით, სადაც ჩვენს ადგილს ვერ ხედავენ?!

სხვათაშორის, ჭარბი ემოციურობა და „ხბოს აღტაცება“ ჩვენთვის, ქართველებისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა ბოლო აქციაზე.

შედეგი?

დაველოდოთ 24 ივნისს, იქნებ გული მოვულბოთ ევრობოსებს და წევრობის სტატუსი გვიწყალობონ?!

დავუშვათ, მოხდეს სასწაული და წევრობის სტატუსი გვიფეშქაშონ, უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობა გარანტირებული აქვს?! აგერ მეზობელი თურქეთის მაგალითი ავიღოთ, რომელიც თითქმის 25 წელია ამაოდ ელოდება ევროპის ოჯახში შესვლას.

სამწუხაროდ, თუ რეალურად უყურებ მოსალოდნელ შედეგებს და ამას ღიად ადასტურებ, უცებ დაგაცხრება ტვინამღვრეულთა და სპეციალურად დაგეშილთა სექტა და რუსოფილობას დაგაბრალებენ...

არა ბატონო, ჩემთვისაც ისეთივე საჩოთიროა რუსეთთან „ჩახუტება“, როგორც თქვენთვისაც, მაგრამ, რუსეთი ჩვენი მეზობელია, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი აქვს დასაკუთრებული და თუ ბევრს ვიკუნტრუშებთ, საერთოდ საკუთარ მარწუხებში მოგვაქცევს – მერე უყარეთ კაკალი!

ამიტომ, ხელოვნურად აგორებული ანტირუსული ისტერიით კი არ უნდა ვცდილობდეთ რუსეთთან საძმის „გარჩევას“, არამედ, ურთიერთობის დალაგებაზე უნდა ვზრუნავდეთ. პირწავარდნილი პროვოკატორი და საძართველოს მტერია ის, ვინც „ამტკიცებს“, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არა აძვს, რომ ევროკავშირში ჩვენი გაწევრება (ჯერ ერთი ვინ მიგვიღებს) გვიხსნის რუსეთის კლანჭებისგან, რომ ევროპის ოჯახში შესვლა საძართველოს ეკონომიკის აყვავების წინაპირობა იქნება!

ჯერ ერთი, ევროკავშირი სამხედრო ბლოკი არ არის, რუსეთის აგრესიისგან გვიხსნას (ნატომ კი არაო!), მეორეც, ევროკავშირის წევრობაც არ იქნება გარანტია, საქართველო ეკონომიკურად ფეხზე დადგეს!

– ამას ჩვენი მუხლჩაუხრელი შრომა, საკუთარი ინტელექტუალური და ფიზიკური რესურსების მობილიზება (და არა საქართველოდან გაქცევა ფიზიკური გადარჩენის მიზნით) სჭირდება, რომლის ნებაც ქვეყანაში არ არსებობს!

ჩემთვის მიღებელია გამოთქმა, მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ ევროპელი! არა, მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ კავკასიელი!

მივხედოთ საკუთარ კავკასიას, აღვადგინოთ ძველი (ინტენსიური) ურთიერთობები მეზობლებთან და ჩვენც გადავრჩებით!

ზაურ ნაჭყებია,
„ივერიონი“

ზაზა გელოვანი

კიევიდან

(გზამკვლელი ევროკომისიისთვის)

დღევანდელ წერილში უფრო ყოფითი ამბების – ფასების, სერვისების, კომუნალური მომსახურების, ხელფასების, მცირე ბიზნესის და ა.შ. ირგვლივ, ომის მიერ მოტანილი პრობლემების შესახებ მინდოდა, მომეყოლა, მაგრამ გადავწყვიტე, შემდეგისთვის გადამედო, რადგან უკრაინა-მოლდოვასთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის გადაწყვეტილებამ და ჩვენთვის უარის თქმამ ყველაფერი უკანა პლანგე გადაწია... ამიტომ შევეცდები, გაგაცნოთ უკრაინისა და მოლდოვის ჩემი თვალით დანახული „ევროუპირატესობები“, რითაც თშრმე ასე „გაგვასწრეს“.

1. იუსტიციის რეფორმა:

მსოფლიო სამართლიანობის პროექტის (World Justice Project) მონაცემებით: საქართველო – 49-ე ადგილი 139-დან, უკრაინა – 74-ე, მოლდოვა - 73-ე.

2. კორუფცია:

საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) მიერ გაზომილი კორუფციის აღქმის ინდექსი 2021: საქართველო – 45-ე ადგილი, უკრაინა – 122-ე, მოლდოვა – 105-ე.

3. ორგანიზებული დანაშაული:

მსოფლიოს კრიმინალური ინდექსის მიხედვით: საქართველოს აქვს 23,38 ქულა, უკრაინას – 47,42, მოლდოვას – 46,35.

4. სიტყვის თავისუფლება 2021

(რეპორტიორები საზღვრების გარეშე Reporters Without Borders) საქართველო – მე-60, უკრაინა – 97-ე, მოლდოვა – 89-ე.

5. პრესის თავისუფლება

(მსოფლიო ბანკი World Bank): საქართველო – 28,64; უკრაინა – 32,9; მოლდოვა – 31,61; (მსოფლიოში საუკეთესო არის ფინეთი – 6,99).

* * *

უკრაინა და საქართველო – შედარებითი დახასიათება

ამ მონაცემებმა მთელი ქართული პრესა და ინტერნეტსივრცე მოიარა, ყველას აუშალა ნერვები და კიდევ უფრო გაამძაფრა უსამართლობის განცდა. ამ ციფრების ფეხებზე დაკიდება ევროკომისიის რეკომენდატორთა სინდისზე იყოს, მე კი შევეცდები, კიდევ უფრო განერვიულოთ იმის მოყოლით, რეალობაში როგორ ვადევნებ თვალს ამ ყველაფერს უკრაინაში ჩემი სამი წლის ცხოვრებისა და მოლდოვაში ორჯერ მცირე ხნით ყოფნის მანძილზე.

პირველი – „იუსტიციის რეფორმა“ და მეორე – „კორუფცია“ (ესენი უკრაინაში „უერთმანეთოდ ვერ ძლებენ“, ამიტომ არ დავაშორებ): მე პროფესიონალი არ ვარ და ზუსტად და სრულად არ ვიცი, რა იგულისხმება ამაში, ან რა მდგომარეობა იყო „რეფორმამდე“, მაგრამ რამდენიმე მაგალითს მოგიყვებით საკუთარი გამოცდილებიდან, რაც პოლიციას, საგზაო მოძრაობის ჯარიმებს, კრიმინალთან ბრძოლას, საბუთების აღებას ეხება და დასკვნები და საქართველოსთან შედარება თქვენთვის მომინდვია:

კიევი – მეტროს სადგური „ჰიდროპარკი“ (მიწისზედა სადგურია, როგორც დაახლოებით ჩვენი „გოცირიძე“). ბილეთების სალაროსთან ვიდექი, ჩემი რიგი მოვიდა, ავიღე, ტელეფონი იქვე დავდე რომ ხურდა საფულეში ჩამედო, მარჯვნივ მოვტრიალდი ჩანთისთვის რომ გამეხედა, ვიღაცამ ჩქარაო მომაძახა უხეშად (აქ ასეა „წესი“), გამოვედი და... მოკლედ ტელეფონი დამავიწყდა. ოც, მაქსიმუმ ოცდახუთ წამში მოვბრუნდი (ფაქტობრივად მაშინვე, ჩანთასთან მისვლამდე გამახსენდა) და ტელეფონი აღარ იყო! აბსოლუტურად გამორიცხულია, რომ ვინმეს კი არა, ყველას არ დაენახა, თუ ვინ აიღო: იმ კაცს, რომელიც ჩემს შემდეგ რიგში იდგა (ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბილეთი აღებული), მოლარეს, და რაც მთავარია იქვე, სალაროს წინ მდგარ პოლიციელს. ვიდეოკამერებიც ყველა მხარეს აყენია. რა თქმა უნდა, ყველამ „დამიკიდა“: ზოგმა დამცინა, ზოგმა ჭკუა დამარიგა – ფრთხილდ უნდა იყოო, ტელეფონიც არავინ მათხოვა, რომ მაშინვე დამერეკა ჩემს ნომერზე – თუ ქურდი მათ შორის იდგა, ზარს გავიგებდი, ჯერ გამორთვასაც ვერ მოასწრებდა... მაგრამ ჩვენ ახლა „პოლიციის რეფორმაზე“ ვსაუბრობთ და არა ხალხზე: „რეფორმირებულმა პოლიციელმა“ ზუსტად ისე „გულისხმიერად“ გამაგზავნა „კონკრეტულ ადგილზე“, როგორც დანარჩენებმა.

ვიდეოჩანაწერი ნახე-მეთქი. ეგ კამერები ტერორისტებზე სათვალთვალოდ არის და არა „ლოხებს“ რომ ტელეფონს მოპარავენ, იმის მოსაძებნადო. დამარეკინე მაინც-მეთქი და – არაო, ჩემი პირადი ტელეფონიაო. მერე მოვიფიქრე: მაშინ განცხადებას დავწერ ოფიციალურდ-მეთქი. რა აზრი აქვს, რას მიაღწევ, კიდევ ორ საათს დაკარგავ, სანამ გავაფორმებო. არა, უნდა დავწერო, სამსახურის ტელეფონია და რამე საბუთი უნდა მივიტანო, რომ მომპარეს-მეთქი. ეს აღარ მოეწონა და კარგი, დაგარეკინებო. დავრეკე. მაშინვე მიპასუხა იმ ვირიშვილმა, ელოდა დარეკვას. იმანაც ჭკუა დამარიგა: დატოვე უპატრონოდ და მე ავიღე, შენ რას იზამდიო? (!!!) უკვე „ლისოვაზე“ ვარო (ბოლო გაჩერებაა იმ ხაზზე). 4 ათასი გრივნა გაამზადე (400 ლარი) და მოვბრუნდები უკანო (ეკრანი ჰქონდა ჩამსხვრეული, ათასხუთასად ვერ ჩავაბარე მეორადებში, მაგრამ მთელი კონტაქტები და შეკვეთები იქ მქონდა და ვერ დავკარგავდი). სამი ათასზე შევთანხმდით. 15 წუთში მოვალო. პოლიციელი გვერდით მიდგას. მოვა და შენ რას იზამ-მეთქი? რა უნდა ვქნა, ჯიბიდან ხომ არ ამოგაცალა, შენ დაკარგე - იმან იპოვა, გიბრუნებს და შენ მადლობის ნიშნად ფულს ჩუქნი, მე რა შუაში ვარო, ჩამომიყალიბა! მოვიდა, გადავუხადე (2000-ზე ჩამოვიყვანე), პოლიციელიც იქვე იდგა...

რაც ომი დაიწყო, საჭესთან აღარ დავმჯდარვარ, მანამდე კიევში სამსახურის მანქანით ვმოძრაობდი. ახლა თუ გამოსწორდნენ, არ ვიცი, მაგრამ ომამდე თითქმის ერთი და იგივე ადგილებში მიწევდა მოძრაობა და იმ „კვადრატებში“ პატრულის ყველა თანამშრომელმა იცოდა, რომ ვარ „სულელი, პრინციპული“ ქართველი, რომელსაც 340-გრივნიანი ჯარიმის გამოწერა უჭრევნია 100 გრივნის ქრთამად მიცემას...

მეორე – ბინადრობის უფლების მოწმობის ასაღებად მივედი, „კიევისა და კიევის ოლქის საემიგრაციო სამსახურში“ (მანამდეც ვიყავი ნამყოფი ჯარიმის გადასახდელად. ქვემოთ მაგაზეც გეტყვით). დატოვე საბუთები, პასპორტის ქსეროასლი და წადი, სამიდან ათ დღემდე ვადაში იქნებაო. სამი თუ ათი-მეთქი? გააჩნია, როგორ მოიქცევიო და მიღიმის. არ მეჩქარება, იყოს ათი დღე-მეთქი და წამოვედი. ზუსტად ორ საათში მირეკავენ: თქვენს პასპორტში მონაცემები აკლია, კომპიუტერში ანკეტას ვერ ვავსებთო. წავედი ისევ, ვიფიქრე, ალბათ პასპორტის კიდევ სხვა გვერდის ასლი უნდა გადამეღო-მეთქი. აქო პასპორტშიო, მამის სახელი არ წერიაო („ოტჩესტვო“)!!! კინაღამ ინფარქტმა დამარტყა! არ იწერება ჩვენთან ეგ-მეთქი, ეგ კი არა, არც უკრაინულ პასპორტში გაქვთ, მხოლოდ შიდა პასპორტებში გიწერიათ-მეთქი. ეგ შენი საქმე არ არის, კომპიუტერში უნდა შევიყვანო მონაცემებიო. ისე გეტყვით-მეთქი „ოტჩესტვოს“. მერე რა ვიცით, რომ მართალს გვეტყვიო. გამაგიჟა! ფრანგი და ამერიკელი რომ მოდის, იმასაც უწერთ „ჟან ლუსიენოვიჩს“ და „ჯონ ჯეკოვიჩს“-მეთქი? და არც ეგ არის შენი საქმეო. კარგი, აღარ მინდა ეგ მოწმობა, საკონსულოს ვთხოვ იუსტიციის სამინისტროში გამირკვიოს-მეთქი. არ დაიჯერა, გაეცინა: საკონსულოს არა გაეროსო. კონტაქტებში მოვძებნე, ლათინური ასოებით ეწერა ტელეფონის ნომერი „ზურაბ, კონსულ“. ცხვირთან მივუტანე და წამოვედი. 15 წუთი არ იყო გასული, რომ დამირეკეს, მოდი, მოწმობა წაიღე, მზად არისო!

პირველად მანდ ჯარიმის გადასახდელად ვიყავი, ხუთი დღე გადამიცდა სამ თვეს, ვერ მოვასწარი საბუთის გაგრძელება. რაც მთავარია – თვით კანონში უდევთ კორუფციის შესაძლებლობა: ჯარიმა 1700 გრივნიდან სამმაგამდე (5100) და არავითარი კრიტერიუმი. ანუ არ არის განსაზღვრული – ვის მეტი და ვის ნაკლები. ხომ შეიძლება, რომ პირველი დარღვევისთვის, ან ცოტა ხნით გადაცილებისთვის, ან არალეგალურად მუშაობის გარეშე ვადაგადაცილებისთვის იყოს ნაკლები, ვიდრე წლობით არალეგალურად ცხოვრებისა და გადასახადების გადაუხდელად მუშაობისთვის, ან მეხუთედ დაჯარიმებისთვის? არა, მე როგორც გადავწყვეტ, ეგრე იქნებაო – „უმფროსმა“. გამომიწერა მაქსიმუმი! ჩემამდე ინდუსი გამოვიდა: შვიდი წელია აქ ვარ, მეხუთედ გადავიხადე ჯარიმა, ხუთიოვიჯერ 1700. წინა უფროსი კაი ტიპი იყო – ზემოდან 500 გრივნას ვუმატებდი, ამან ათასი წამართვაო. აბა, შენსავით „ბლატაობას“ ხომ არ დავუწყებდი და 5100-ს ხომ არ გამოვაწერინებდიო.

კორუფცია... როგორ გითხრათ... ალბათ, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი“ ან „ყოველდღიურობის ნორმა“ შეიძლება ვუწოდოთ: საავადმყოფოში ოპერაცია ან ნებისმიერი სხვა პროცედურა – ექიმს „ხალათის ჯიბეში“ არაოფიციალურად არ გადაუხდი – მოკვდები! სამსახურში მისატანი ავადმყოფობის ყალბი ცნობა („დაჩაზე“ ხარ წასასვლელი რამდენიმე დღით, ან უბრალოდ გეზარება) – ქრთამი პოლიკლინიკის რეგისტარატურაში, ღიად, ყველას დასანახად. ახალ სამსახურს იწყებ – საჭიროა „მედიცინსკაია კარტა“: ნახავ ინტერნეტში ნომერს, დარეკავ, თუ ფულს დაუმატებ, სახლშიც კი მოგიტანენ, სულაც რომ შავი ჭირი გჭირდეს – ჩაწერილი იქნება, რომ ჯანმრთელი ხარ. მიიტან და დაიწყებ მუშაობას. დამსაქმებელმაც იცის, რომ ნაყიდი გაქვს საბუთი, მაგრამ თუ არ დადებს სეიფში, ვიღაც შემმოწმებელი მოვა და იმისთვის მოუწევს ქრთამის გადახდა...

მართვის მოწმობების ყიდვა, დიპლომის ყიდვა – აქ ყველფერი მოსულა. სკოლაში! საბავშვო ბაღში!!! ყველგან ქრთამი!

აღარაფერს ვამბობ კორუფციის უმაღლეს დონეზე, თან დიდ მასშტაბებში. ინტერნეტი სავსეა დატაცებულ ჰუმანტარულ დახმარებაზე და გზებისა თუ სხვა ობიექტების მშენებლობებზე მილიარდიანი კორუფციის ფაქტებით.

მესამე – ორგანიზებული დანაშაული: ალბათ, მე არ ვიცი, რას ჰქვია „ორგანიზებული დანაშაული“, მაგრამ რასაც მე საქართველოს ამბებს ვადევნებ თვალს, ასეთის შესახებ არაფერი მსმენია. ორგანიზებული ბანდა, რომელიც სისტემატურად ძარცვავს ან კლავს; კიბერდანაშაულს ჩადის და მოქალაქეების ანგარიშებიდან ფულს იპარავს; ბიზნეს-სტრუქტურებს წილში უზის, არეკეტებს, ურჩებს სასტიკად უსწორდება; იპარავენ ათასობით ძვირფას მანქანას და უპრობლემოდ ჰყიდიან რუსეთში, ან არალეგალურ სახელოსნოებში ნაწილებად შლიან და აქვე ყიდიან; „კანონიერი ქურდები“, „სხადნიაკები“... გეცნობათ? 90-იანი წლების საქართველოზე კი არა, დღევანდელ (ომამდელ) უკრაინაზე გიყვებით. „ორგანიზებული დანაშაული“ სხვა რამეა?! მე აღარ ვარ საქართველოში და მითხრას ვიმემ – ასეთები ხდება მანდ?!

მეოთხე და **მეხუთე** – სიტყვის თავისუფლება და პრესის თავისუფლება: ამის შედარება საქართველოსთან საერთოდ დაცინვაა... თავს აღარ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ათჯერ მრავალრიცხოვან უკრაინაში ათჯერ ნაკლები არსამთავრობო ორგანიზციაა, ვიდრე საქართველოში. ხოლო იმისთვის, რომ არასამთვრობო ორგანიზაცია დააარსო, დაახლოებით თხუთმეტი ცნობა, ერთი თვე და ბევრი ნერვების შლაა საჭირო და არა ის, რაც ჩვენთან – მიდი იუსტიციის სახლში და თუ გინდა 15 წუთში იქიდან „ბისექსუალი კატების უფლებთა დაცვის საზოგადოების“ დამფუძნებლის სტატუსით გამოხვალ.

არც მე მჯეროდა, როდესაც ამბობდნენ: უშიშროება გვისმენს, ტელეფონში არაფრის თქმა არ შეიძლებაო; ექო ისმის, ე.ი. გვისმენენო და ა.შ. მეცინებოდა. მაგრამ ვაიბერში **სბუ**-სგან (უკრაინის უშიშროების სამსახური) შეტყობინება რომ მომივიდა: ომია ახლა და რომ იცოდეთ – თქვენი ყველა საუბარი და ყველა მიმოწერა ტელეფონით და სოცქსელებით, იწერებაო, დავიჯერე და აღარ მეცინება. კი, გასაგებია, ომია, მაგრამ არა მგონია, საქართველოში რომელიმე სამსახურმა გაბედოს, ან თუ გაბედა, ხალხმა ასე ურეაქციოდ მიიღოს პირადი საუბრების მოსმენა და მიმოწერაში ქექვა თუნდაც ომის დროს. აქ კი ყურიც არავის შეუბერტყავს – ისედაც დარწმუნებული იყვნენ.

ყველა ოპოზიციური ტელეარხი დაიხურა. მუშაობს მხოლოდ კოლომოისკის, ფირტაშისა და ახმეტოვის კუთვნილი არხები (კოლომოისკი ის ბიზნესმენია, რომელიც ზელენსკის გუნდის სპონსორად, სპონსორად კი არა – მბრძანებლად მოიაზრება). სასაცილო ის არის, რომ მათი ოპოზიციურობა დახურვამდეც მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ კოლომოისკის კონკურენტ თუ მასთან დაპირისპირებულ ოლიგარქებს ეკუთვნით და არა მას.

ასევე დაიხურა ქვეყანაში არსებული ერთადერთი რეალური ოპოზიციური ძალის – ექსპრეზიდენტ პოროშენკოსთან ასოცირებული არხი „პრიამოი“ და მეხუთე არხი. ახლა უკრაინული ოპოზიციის ერთადერთი ტრიბუნა სოციალური ქსელებია. აღარაფერს ვამბობ გენდერულ და ბავშვთა უფლებების დაცვაზე – საშინელი სტატისტიკის და ფაქტების „დაგუგვლა“ ყველას შეგიძლიათ.

ისედაც თავი შეგაწყინეთ და აღარ გავაგრძელებ. კიდევ ბევრია შესადარებელი, მაგრამ როგორც გითხარით, შემდეგ წერილში ტრანსპორტის, კომუნიკაციების და სხვა ამბებს გეტყვით და იქაც შევეხებით ევროკომისიის დასკვნას (რადგან იქ უკრაინის „განვითარებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე“ და „რეფორმირებულ განათლების სისტემზეც“ იყო საუბარი).

მოლდოვაზე სალაპარაკოდ აღარ დარჩა ადგილი და აღარც ღირს, მაგრამ ორ რამეს ვიტყვი მხოლოდ. ერთი ფაქტია, მეორე – „სიმბოლო“. ფაქტი: მოლდოველთა მხოლოდ 475-ს სურს ევროკავშირში ყოფნა (რეფერენდუმი არ ჩატარებულა, ეს იმ გამოკითხვის შედეგებია, რომელიც ევროკომისიას ედო წინ რეკომენდაციის წერისას). „სიმბოლო“: ჩემთვის მოლდოვა უკვე ასოცირდება იმ ტაძსის მძღოლთან, უფრო ზუსტად – იმ მაისურთან, რომელიც ტაძსის მძღოლს ეცვა, ავტოსადგურიდან სასტუმრომდე რომ მიმიყვანა, კიდევ უფრო ზუსტად – იმასთან, რომ ეს იქ არავის არ უკვირდა და არ „ტეხავდა“: ზევით ეწერა „მოსკვა“ (რუსულად), მერე ეხატა დათვის ბელი (მოსკოვის ოლიმპიადის სიმბოლო 1980 წელს), ძვევით ეწერა: „ოლიმპიდა-80“... ხვალ, შესაძლოა, ის ტიპი გახდეს ევროკავშირის მოძალაძე!

ყოველ ჩემს სიტყვაზე პასუხს ვაგებ ურსულ ფონ დერ ლაიენის წინაშე...

ლუსიონ შონია (ცენტრში) იტალიელ მეგობრებთან.

ჩემი ქართველები

ქართულ ფენომენზე ფიქრი დამჩემდა, მაწუხებდა ერთობ, ვეძებდი, მინდოდა მეხილა, ჩავწვდომოდი, რათა დავრწმუნებულიყავი მის არსებობაში, უფრო სწორად კი, მინდოდა მისი დაკავშირება საქართველოსთან, კიდევ უფრო სწორად კი საქართველოს გადარჩენის მიზეზებთან, რაზედაც ამდენს ლაპარაკობენ დღეს.

ეს ფიქრი მაწუხებდა, რადგანაც ერთი წუთითაც არ მეეჭვებოდა, რომ ამ ერთ მუჭა ქვეყანას, ე.ი. ჩემს „ნიავის ერთი ჩამოქროლების“ სამშობლოს მართლა ჰქონდა ფენომენალური, უფრო გასაგებად კი, განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული (თანაც ძალიან) მახასიათებლები და რომ ყველაფერი ეს იძირებოდა წარსულში.

სხვანაირად როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ამ თითზე ჩამოსათვლელ ხალხს თავისთავადობით ევლო ათასეული წლები და დღემდე მოსულიყო.

რამ შეაძლებინა?!

რამ გადაარჩინა?!

გვეყო!

დავიღალეთ გამაოგნებელი პოლიტიკური ხმაურისგან.

გავცდეთ ყოველდღიურ თემას, რადგანაც დაიღალა ქვეყანა და ადამიანებიც.

მე უბრალოდ მინდა მოგიხმოთ და გაგახსენოთ ქართული ფენომენი.

თუმცა ამით საკუთარ თავს ვუქმნი დაბრკოლებას.

რადგანაც დღეს არამცთუ პატრიოტიზმი, არამედ ოდნავ მაინც მისი სუნი თუ უდის რამეს, უკვე მიუღებელია. რა ვქნა მე, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა, თუმცა ერთი ბეწო, მაგრამ მე რომ მასზე ამომდის მზე და მთვარე, ყველა ჩემს მოქმედებაში ჩემი ქვეყანაა, მისი სიყვარულით ვსულდგმულობ მხოლოდ.

მე არა მხოლოდ მიყვარს ჩემი სამშობლო, მე მუდამჟამს ვრჩები მისი ერთგული.

მაინც რა ხდება, საიდან მოდის ასეთი გადამეტებული მოზღვავება სიყვარულისა?!

ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, როდესაც გარკვეული დროით მოვშორდი ჩემს ფუძეს, მაშინ მივხვდი, თუ რა მაწვალებდა და როგორც კი გავიგონე ქართული სიტყვა, თვალი მოვკარი ჩემს თანამემამულეს, მახსოვს, მოხევე იყო, გვარად აფციაური, სახელად ვალიკო, შემოვიდა უკიდეგანო ველში დადგმულ ყინულიან კარავში და, არ ვიცი რატომ, მაგრამ აშკარად ყური მოვკარი: ნუთუ არაავინაა აქ ქართველი?!

არ ვიცი, რა იყო, მაგრამ რაღაცა მშობლიურმა ბიძგმა მკრა ხელი და კი არ ვთქვი, თითქმის ვიყვირე, ვარ, ძმაო, ვინა ხარ ან სადაური და აქ როგორ მოხვდი?.. ამის თქმაზე მეძგერა, გადამეხვია. დიდი ხნის უნახავი ერთი დედ-მამის შვილების შეხვედრას ჰგავდა ეს წუთები.

– ქართველი ხარ?

– ქართველი ვარ!

მაინც რა იყო ამ სიტყვებში ჩადებული, მერეც ბევრი მიფიქრია ამაზე, რა იყო ასეთი, რაც გვიზიდავდა ერთმანეთისკენ.

დღესაც მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ პასუხი იძირება სადღაც შეუცნობელ სამყაროში, რომელიც ქართველ კაცს დღემდე აწვალებს (აწუხებს) და ვგონებ, რომ სწორედ მან გაგვაძლებინა, უფრო კი გადაგვარჩინა და დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა.

ვინ იყვნენ ისინი, რომ გვიბიძგებდნენ ერთმანეთისკენ, ეს უბრალო და დიდი გულის ადამიანები; მე მათ ისტორიულ ანალებში ვეძებდი, მაგრამ შემდეგ ისინი ჩემ გვერდით აღმოვაჩინე, თურმე მე მათ ყოველდღე ჩვეულებრივ ვხვდებოდი.

აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ლუსიონ ბიძია – ლუსიონ შონია, ეს მეგრელი გლეხი, ასეთი ადამიანი თუ იქნებოდა ჩემ გვერდით. მერე ვინ, კაცი, რომელიც გახდა სიმბოლო უძლეველ ძალასთან შეუდრეკელი ბრძოლისა, რომელმაც სძლია ყველა განსაცდელს, ტყვეობიდან გამოქცეულმა იტალიელ პარტიზანებთან, შეუპოვარ პატრიოტებთან მიიტანა თავი და ტყვიისა და ცეცხლის წვიმაში ჩადგა მათ რიგებში.

იტალიელმა პარტიზანებმა თავიდანვე შეიყვარეს ეს შეუპოვარი მებრძოლი, ეს მიამიტი, სუფთა გამოხედვის კაცი, რომელიც თავს იქით კითხვას არ ტოვებდა. სხვებისაგან არაფრით გამორჩეულს, ჰქონდა ძალა, რომელიც თავის გარშემო მყოფნი აშკარად გრძნობდნენ.

უყვარდა ნადირობა, მაგრამ მთავარი, ის შრომობდა სხვებთან ერთად, თანაც კოლმეურნეობის მიერ მასზე მიმაგრებულ ნაკვეთზე, მოჰ ყავდა სიმინდი, ლობიო, როგორც ყველას. ყანა ჰქონდა მდინარის პირას, ყანა სულ მოვლილი ჰქონდა, მაგრამ ვერავინ იტყოდა, რომ მისი მთავარი საქმე ეს იყო. ეტყობოდა, რომ საფიქრალი სხვაც ჰქონდა. ახლობლობდა გრიგოლთან, რომელიც უფრთხოდა ადამიანებთან ურთიერთობას, სახალხო აჯანყების მონაწილეს სულ დამბეზღებლები და გამცემები რომ ელანდებოდა. ლუსიონი კი სხვა იყო, განმარტოვდებოდნენ და საუბრობდნენ. მე ამ საუბრის თემაზე არ დავინტერესებულვარ, ლუსიონს და გრიგოლს ჰქონდათ რაღაცა საერთო, რომელიც ალბათ ხმამაღლა არ ითქმოდა.

უყვარდა ბავშვებთან ურთიერთობა, როგორც ტოლებს, ისე ესაუბრებოდა, მათ არასოდეს არ აგრძნობინებდა, რომ ის განსხვავებულია და მას უნდა მოუსმინონ. რამდენჯერ ყოფილა, რომ ბიჭები წაკინკლავებულან, ზოგჯერ უჩხუბიათ და უბეგვიათ კიდევაც ერთმანეთი. ლუსიონს შეურიგებია და ძმობა შეუფიცია.

ერთხელაც, დილას, ლუსიონის შვილები სკოლაში არ მოვიდნენ; შემდეგ გავიგეთ თავზარდამცემი ამბავი – ლუსიონი დილაადრიან თავის ოჯახთან ერთად ჩეკას წაუყვანია, უფრო სწორად კი – გადაუსახლებია.

მერე გვითხრეს, რომ შუა აზიაში გადაასახლეს, როგორც „ნაპლენარიო“. ლუსიონი თურმე „პლენში“ ყოფილა (თითქოსდა, იტალიის პარტიზანებში სხვანაირად მოხვდებოდა).

გავიდა ხანი.

ლუსიონზე და მის ოჯახზე არაფერი ისმოდა.

ის ვიცოდით მარტო, რომ შუა აზიაში იყვნენ გადაკარგულნი, სადაც დიდი უდაბნოები და აუტანელი სიცხეებია. ჩვენებური კაცისთვის მძიმე გადასატანი, განსაკუთრებით ბავშვებისა და ხანში შესულებისთვის.

ლუსიონის სამივე შვილი წამოჩიტდნენ, სკოლაში დაიწყეს სიარული და ეს ყველას უხაროდა, მათ კიდევ სამი შვილი დაემატა.

ლუსიონი კი ისევ დაადგა თავის გზას, დღე და ღამეს შრომაში ათენებდა და აღამებდა. ყველას უკვირდა მისი გამძლეობა, რომელიც მის ოჯახსაც გადასდებოდა და მოკეთეს ახარებდა.

ცხოვრებაც შეიცვალა.

ერთ დღეს მოვიდა მთავრობის კაცი სოფლის საბჭოში და უხმო ლუსიონს, იტალიის დელეგაციაა ჩამოსული და შენ მოგიკითხეს, ნახვა უნდათო, მაგრამ ასე გლახად ჩაცმულ კაცს ვინ აჩვენებდა უცხოელებს. მიდგნენ, მოდგნენ, უყიდეს ჩასაცმელი, კოსტიუმი, სადღაც „პლაშიც“ უშოვეს, ახალი ფეხსაცმელი ჩააცვეს და წარუდგინეს სტუმრებს.

აი, მაშინ გენახა ეს შეხვედრა, როგორ გაიხარეს იტალიელებმა ლუსიონის ნახვაზე, გულში ჩაიხუტეს, შემდეგ კი სამთავრობო პრეზიდიუმში შუაში ჩაისვეს, სულ „კომრადე ლუსიონს“ ეძახდნენ.

ჩვენ მხოლოდ ახლა გავიგეთ, რომ ლუსიონი თურმე გმირი ყოფილა, თანაც იტალიის, თავდაუზოგავად იბრძოდა პარტიზანების გვერდით, სამხედრო ოპერაციებში საოცარ გამბედაობასა და მოხერხებულობას იჩენდა. მოკლედ, ლუსიონი იტალიელი პარტიზანების საყვარელი და ახლობელი გამხდარიყო, თანაც ყველამ გაითავისა, რომ ლუსიონი იტალიელი არ იყო, ეს არაიტალიელი თავს არ ზოგავდა და სიცოცხლეს სწირავდა იტალიისთვის. ზოგჯერ დაუჯერებელს ყვებოდნენ მასზე,. ერთხელაც თურმე 14 გერმანელს გაუმართა ბრძოლა მარტოხელამ. პარტიზანებისგან მაშველი რომ მოვიდა, ლუსიონს უკვე ყველაფერი მოთავებული ჰქონდა.

ყველამ გაიგო, რომ პარტიზანულ რაზმში ქართველი ლუსიონი თავდადებით იბრძოდა იტალიისათვის, უშიშრად ებრძოდა იტალიის მტრებს, ამიტომაც იტალიის ვეტერან პარტიზანთა ასოციაციამ შუამდგომლობით მიმართა საბჭოთა მთავრობას მისი გმირობის სათანადოდ აღნიშვნის თაობაზე.

ასე რომ, ჩემ გვერდით თურმე შეუმჩნევლად ცხოვრობდა იტალიის ქართველი გმირი, რომელმაც თავის ქართველობას სახელი და ღირსება შემატა.

არასოდეს არ მშორდებოდა ლუსიონი, ქართველი კაცის ღირსებისა და გმირობის სიმბოლო და ჩემი ხალხის თვისებებში ჩადებული შესაძლებლობებისადმი რწმენას მიმტკიცებდა.

* * *

პაცი, რომელსაც ჩემმა აწეწილ-დაწეწილმა ცხოვრებამ შემახვედრა, იყო **თემურ გრიგორაშვილი,** წარმოშობით მოხევე, ფაკულტეტის სული და გული, კეთილშობილი ადამიანი, რადიოტექნიკის სპეციალობაზე სწავლობდა. ცნობილია, რომ ეს სპეციალობა არცთუ იოლი იყო ასათვისებლად, მაგრამ ინსტიტუტში საკმაოდ ძლიერი ადამიანები შეიკრიბნენ და აქ ჩამოყალიბებული რადიოტექნიკის სკოლა განსაკუთრებით გამოიკვეთა სხვა სპეციალობებისგან და სწორედ ამ მეცნიერებას ეუფლებოდა თემური, გამორჩეული თანატოლებისგან, რომელიც არასოდეს ავლენდა თავის უპირატესობას, პირიქით, თავისი მოკრძალებული ხასიათით არასოდეს ცდილობდა წინ გაჭრას, უპირატესობის მოპოვებას. ურთიერთობაში უბრალო, კეთილი, მუდამ მომღიმარი, ისე, რომ მასთან ყოფნა გიადვილებდა სიცოცხლეს, რაც ხშირად გაუსაძლისიც კი ხდებოდა, თვითონ უთქმელი, უპრეტენზიო, ეს დედისერთა ბიჭი, გაანაწილეს ლენინგრადში, ერთ-ერთ სოლიდურ ორგანიზაციაში.

როდესაც გავიგე თემურის სამუშაოდ ასე შორს გაგზავნის ამბავი, გული დამწყდა, წესიერად ვერც გამოვეთხოვე. შემდეგ გავიგე, რომ ლენინგრადიდან გადაუყვანიათ რიგაში, „ვეფის“ ქარხანაში, სადაც საჭირო იყო რადიოტექნიკის სრულყოფილი ცოდნა, სხვანაირად იქ ვერ მოხვდებოდი. ამის შემდეგ თემური გაქრა ჩვენი თვალსაწიერიდან, მხოლოდ ის გავიგეთ, რომ სადღაც დიდი ხნით მივლინებით იყო წასული.

ერთი იყო მხოლოდ საგანგაშო, რომ თემური ფიზიკური ჯანით არაფრით გამოირჩეოდა თანატოლებისგან, უბრალოდ, იყო სიცოცხლით სავსე, მოუსვენარი ახალგაზრდა.

მასზე ფიქრი სულ მაწვალებდა, როგორც ზღაპარშია, ცამ უყო პირი თუ მიწამ ჩაყლაპა, ვერ მივაკვლიეთ.

ეს მერე გავიგე, რომ საბჭოთა ქვეყანაში იყო ისეთი სამუშაოები, ქარხნები, ზოგჯერ ქალაქებიც კი, რომელთა არსებობა გასაიდუმლოებული გახლდათ. ამ ქალაქებს და ა.შ. (ობიექტებს) რუკებზეც კი ვერ იპოვიდი...

გავიდა თითქმის ორი წელი და გამოჩნდა ჩვენი თემური, პირმღიმარე, მხიარული, უზრუნველი, თითქმის შეუცვლელი. ეს გარეგნულად, თორემ შინაგანად კი რა ამბავს ატარებდა თურმე...

მოკლედ რომ ვთქვათ, თემური დაგვიბრუნდა, აბა, საიდან, როგორ ფიქრობთ: ანტარქტიდიდან, დიახ, ანტარქტიდიდან, სადაც ის საბჭოთა ექსპედიციასთან ერთად იყო გამოზამთრებაზე. ეს სიტყვა იოლი არ გეგონოთ, ეს მოიცავს დიდ შინაარსს, ბობოქარ ბუნებასთან ჭიდილს და ამ ჭიდილში გამარჯვებას, უფრო სწორად კი - გაძლებას.

„მაცივარი არ გვქონდა იმიტომ, რომ არ გვჭირდებოდა, მთელი დაკლული ძროხა გვეყარა იქვე საცხოვრისთან ახლოს და საჭიროების შემთხვევაში ნაწილ-ნაწილ შემოგვქონდა. ყველაზე რთული იყო მთელიდან ნაწილის ჩამოჭრა, ნაჯახს რომ დაჰკრავდი, თავში გივარდებოდა, თვალები გიმნელდებოდა და თუ ძლიერი ფილტვები არ გქონდა, ვერას გახდებოდი“. მერე, როგორც თვითონ იტყოდა, სწორედ ამ ძლიერი ფილტვების „წყალობით“ წაიყვანეს ის ექსპედიციაში.

პირველი ქართველი, ვინც გამოიზამთრა ანტარქტიდაში, თემური იყო, ჩვენი თემური გრიგორაშვილი, არაფრით გამორჩეული ტოლებისაგან, ფარული შესაძლებლობებით და თავისი გამძლეობით მუდამ პოულობდა ძალას თვითგადარჩენისათვის და დაკისრებული მოვალეობის – მიზნის შესრულებისათვის.



გრიგოლ შონია.

(გაგრძელება იქნება)

ექსპედიცია ანტარქტიდაში

ჰორმონ მელატონინის ანტიკანცეროგენური თვისებები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო მეთოდოლოგიური საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. სწავლულ და პრაქტიკოს ექიმთა თავყრილობის წინაშე, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხეცურიანი უძღვებოდა, მოხსენიებით თემაზე „მელატონინი, კურკუმინი და ბიოლოგიური რიტმები ავთვისებიანი სიმსივნეების პათოგენებსა და კლინიკურ პრაქტიკაში“, წარსდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის კლინიკური დოქტორი ალექსანდრე თავართქილაძე.

უაღრესად საგულისხმო მოხსენებაში, დოქტორმა ა. თავართქილაძემ დამსწრეთ გაუზიარა თავისი ოცდაორწლიანი სამეცნიერო კვლევებისა და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, მელატონინის კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენების შედეგები, ისაუბრა ამ ჰორმონის სამედიცინო მნიშვნელობაზე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დოქტორ ა. თავართქილაძეს ორი დისერტაცია აქვს დაცული მელატონინის ანტისიმსივნური და დაბერების საწინააღმდეგო ეფექტიანობის საკითხებზე.

ჰორმონი მელატონინი მე-20 საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ, 1958 წელს აღმოაჩინეს. ეს უნიკალური თვისებების მქონე ნივთიერებაა: ის სეროტონინისგან წარმოიშვება თავის ტვინის ზედა დანამატში, რომელსაც ქართველმა სწავლულმა, აკადემიკოსმა ნათიშვილმა **„ჯალღუზისებრი სხეული“** უწოდა და ჰორმონული აქტივობით ხასიათდება.

დიდი ფილოსოფოსი რენე დეკარტი ეპიფიზს **„სულის სამყოფელს“** უწოდებდა და მიიჩნევდა, რომ კოსმოსურ ენერგიებს, გარემოს სეზონურ, გეო- თუ ჰელიომაგნიტური ველების ცვლილებებს, ადამიანი სწორედ **ეპიფიზით**, ანუ **გირჩისებრი სხეულით** აღიქვამს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მელატონინის მოლეკულურ წინამორბედს უშუალოდ ჰორმონი **სერატონინი** წარმოადგენს, რომლის გამომუშავება ორგანიზმში მატულობს გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში და დღისით. ამ დროს სიმსივნური ზრდა განსაკუთრებით აქტიურია, ამდენად ავადმყოფები ამ პერიოდში ექიმებისგან მეტ მოვლა-პატრონობასა და წამლობას საჭიროებენ.

მელატონინის ოდენობა ორგანიზმში კი მეტია შემდგომა-ზამთარსა და დღე-ღამის ბნელ დროს. ამ პერიოდში სიმსივნეები ნელა იზრდებიან და ნაკლები აგრესიულობით გამოირჩევიან.

მელატონინი ასევე **ძილის ჰორმონია, ორგანიზმში მისი უკმარისობა პათოლოგიურ მდგომარეობას იწვევს, რაც ბიოლოგიური რიტმების მოშლით გამოიხატება, ეს კი ყველა დაავადების სათავეა.** ამ დროს ვითარდება **მწვავე უძილობა,** რომელსაც ქიმიური სამკურნალო საშუალებები ძნელად თუ შველიან.

თუკი კაცს ყოველ საღამოს ერთსა და იმავე დროს არ ეძინება, ეს იმის ნიშანია, რომ მის ორგანიზმს მელატონინი აკლია, ამიტომ სასწრაფოდ საჭიროა ექიმს მიმართოს. ცნობილია, რომ **თვალისჩინდაკარგულ ადამიანებს ავთვისებიანი სიმსივნეები ნაკლებად ემართებათ, რადგან მელატონინი მათ ორგანიზმში გამუდმებით სინთეზდება. ონკოლოგიური დაავადებები და არტერიული ჰიპერტენზია ასევე არ ემართებათ შიზოფრენიით სნეულ ადამიანებს.** როგორც გაირკვა, მელატონინის კონცენტრაცია შიზოფრენიით დაავადებულებში, 50-ჯერ, რიგ შემთხვევაში კი სულაც 300-ჯერ აღემატება ნორმას!

პროფესორ ა. თავართქილაძის თქმით, ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ პაციენტებში მელატონინის სეკრეციის (გამომუშავების) შემცირებამ იმთავითვე მიიპყრო მედიკოსთა ყურადღება. ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ **მელატონინის სეკრეციის მოშლა, ონკოლოგიურ დაავადებათა ერთ-ერთი ბიოლოგიური მარკერია, თანაც რაც უფრო მეტადაა განვითარებული სიმსივნე, მის ქსოვილოვანი წარმოშობის მიუხედავად, მით უფრო შესამჩნევად ირღვევა ბიოლოგიური რიტმები. ყოველივე ეს პაციენტების ორგანიზმის ერთიანი სისტემის შეუქცევად ნგრევას განაპირობებს.**

აღსანიშნავია ისიც, რომ **ხანდაზმულ ადამიანებში მცირდება სითხეზე მოთხოვნილება, რაც მრავალი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს,** ანუ ასაკის მატებასთან ერთად სისხლში მელატონინის შემცველობის დაქვეითება, პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში ინტრაცელულური წყლის დეფიციტს იწვევს და ასაკთან ასოცირებული მთელი რიგი დაავადების წარმოშობას უწყობს ხელს. ქართველმა მკვლევარებმა შეისწავლეს ონკოლოგიური პაციენტების ჯანმრთელ უჯრედებში წყლის არხების დეფიციტის მიზეზით განვითარებული პათოფიზიოლოგიური ძვრები და დაადგინეს კორექციის შესაძლო მექანიზმები და შედეგები.

მედიკოსებისთვის ცნობილია თავის ტვინის ქერქის უშუალო ზეგავლენა მელატონინის გამომუშავებაზე და მკვლევართა მიერ ჩატარებული დაკვირვებების შედეგად დადგინდა ცენტრალური ნერვული სისტემის უშუალო მონაწილეობა სიმსივნური დაავადებების პათოგენებში, რის შედეგად ამ მიმართულებით შეიმუშავეს რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია.

* * *

პროფესორ ა. თავართქილაძის მოხსენების კიდევ ერთი საკითხი გახლდათ ნივთიერება კურკუმინი, რომელიც მცენარე კურკუმას ფესვებიდან იღებენ. იგი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქტია, ამდენად მას მთელ მსოფლიოში საკვები დანამატის სახით, ხოლო ალტერნატიულ ტრადიციულ მედიცინაში – მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყენებენ.



მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ **ამ ნივთიერებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტი ძნელად ინელებს, მისი ის მცირე ნაწილიც კი, რომელიც შეწოვის შემდეგ სისხლის საერთო მიმოქცევაში ხვდება, სავსებით საკმარისია რეალური თერაპიული ეფექტის მისაღებად.** ორგანიზმის მიერ კურკუმინის შესაწოვად კი მნიშვნელოვანია სანაღვლე სისტემისა და პანკრეასის ნორმალური მოქმედება.

კურკუმინი წარმოადგენს პოტენციურ ანთების საწინააღმდეგო და ანტისიმსივნური ეფექტის მქონე მოლეკულებისგან შემდგარ ნივთიერებას, რომელიც ლაბორატორიულ პირობებში თრგუნავს ანთებით პროცესებში ჩართულ არაერთი სახეობის მოლეკულებს. დადგენილია მისი დიდი პოტენციალი ანთებით დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობაში. მისი გამოყენება შესაძლებელია შემანართულ თერაპიაში ზოგიერთ ქრონიკულ ანთებით დაავადებათა, კერძოდ, წყლულოვანი კოლიტის დროს. გარდა ამისა, კურკუმინი გამოკვლეულია ავთვისებიანი სიმსივნეების გარკვეული ფორმების სამკურნალოდაც, ის წარმოადგენს ძლიერ ანტიოქსიდანტურ საშუალებას, ეფექტურია ალკოჰოლური, კვებითი და მედიკამენტოზური მოწამვლებისას. მის დაბალ (ერთი მგ-მოლი) კონცენტრაციას შეუძლია გარკვეულწილად დაიცვას ჰეპატოციტები ალკოჰოლისგან. კურკუმინის ტოქსიკურობა არ გამოვლენილა 8-10 მგ დოზით დღეში სამი თვის განმავლობაში მიღების შემთხვევაშიც კი.

მოხსენების დასრულების შემდეგ პროფესორ ა. თავართქილაძეს კითხვები დაუსვეს და საკუთარი აზრი გამოთქვეს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ,** საბჭოს წევრებმა – აკადემიკოსებმა **დავით მიქელაძემ, რამაზ ხეცურიანმა, რამაზ ხუროძემ, რამაზ გახოკიძემ,** პროფესორებმა **სოფიო ბახტაძემ, ზაზა ავალიანმა, ელზა ვაშაკიძემ.**

სხდომის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ საბჭოს თავმჯდომარეს, აკადემიკოს-მდივანს **რამაზ ხეცურიანს:**

– პროფესორმა ალექსანდრე თავართქილაძემ ძალიან საინტერესოდ განიხილა თავის ტვინის ეპიფიზში, ანუ როგორც მას აკადემიკოსმა ნათიშვილმა უწოდა – „ჯალღუზისებრ სხეულში“ ჰორმონ მელატონინის გენეზისი, მის ანტიოქსიდანტურ თვისებებზე დამყარებული ანტისიმსივნური ზემოქმედების მექანიზმები და სამკურნალო საშუალების სახით გამოყენების მეთოდები და ეფექტიანობა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჯალღუზისებრი ანუ როგორც მას კიდევ ფორმის გამო უწოდებენ, **„გირჩისებრი სხეული“, „მესამე თვალი,“ „შივას თვალი“** ჭეშმარიტ საოცრებას წარმოადგენს: ადამიანის თავის ტვინის გეომეტრიულ ცენტრში განთავსებული ეს ერთი ციდა – სულ დაახლოებით 0,5 გრამის წონისა და 3-8 მილიმეტრის სიგრძის ჯირკვალი, უძლიერეს ჰორმონს გამოიმუშავებს, რომელიც დღე-ღამური ციკლების მონაცვლეობის აღქმას არეგულირებს, რაზეც არამარტო ჩვენი დაძინება-გაღვიძება, არამედ ორგანიზმში მიმდინარე, ფაქტობრივად, ყველა პროცესია დამოკიდებული. დღესდღეობით მას უკავშირებენ თითქმის ყველა დაავადების წარმოშობას, ანთებებს, ჰიპერტენზიას, ფსიქიკის მდგომარეობას, ბევრ სხვას.

საინტერესოა, რომ როდესაც მთელი ცენტრალური ნერვული სისტემა ჰემატოენცეფალური ბარიერით არის დაცული, ეპიფიზი, თავის ტვინის ეს უმცირესი დანამატი, მის მიღმაა განთავსებული და სწორედ ამიტომაა, რომ მას სისხლით მკვებავი მთელი ხუთი სხვადასხვა არტერიული წყარო ემსახურება. ეს გარემოება კი ამ პატარა ჯირკვლის უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს.უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორგანო დღეისათვის ბოლომდე შესწავლილი არ არის და სწორედ ამიტომ მისი ფუნქციები მრავალი საიდუმლოებით არის მოცული.

უნდა ითქვას, რომ **მელატონინი, აგრეთვე ცნობილია როგორც ნაადრევი სქესობრივი მომწიფების საწინააღმდეგო, ბედნიერების შეგრძნების მარეგულირებელი, სიცოცხლის გამგრძელებელი და დაბერების პროცესის შემანელებელი და ა.შ. ჰორმონი.** ჩვენში ის აფთიაქებში თავისუფლად იყიდება საკვები დანამატის სახით, თუმცა კი ექიმები მას ასევე წარმატებით იყენებენ ნაადრევი ბავშვობის პერიოდში საძილე საშუალებად. ამიტომ მას კიდევ **„სიბნელის“** ჰორმონს უწოდებენ. ასაკოვანმა ადამიანებმა მისი გააქტიურება რომ შეძლონ (ჯერ-ჯერობით ამის ერთადერთი მიგნებული საშუალება კი, ბავშვური სათამაშო „კალეიდოსკოპია“, რომლის ფერადი შუშის ნატეხების სწრაფი მონაცვლეობა თვალის ბადურის რეცეპტორებს ავარჯიშებს, რომელთა მეშვეობით გირჩისებრ სხეულზე სიგნალი მიდის, რის შედეგად ადამიანის ორგანიზმში მელატონინის გამომუშავება მატულობს), ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება სავსებით რეალური გახდებოდა.

და კიდევ ერთი: ვფიქრობ ერთობ საგულისხმოა, რომ ეპიფიზი, იგივე ჯალღუზისებრი სხეული, თავის ტვინის იმდენად მნიშვნელოვანი დანამატია, რომ ის თითქმის ყველა რელიგიის ყურადღების სფეროშია, ხოლო ვატიკანის ეზოში მას გირჩის ფორმის ქანდაკება უდგას!

ოთარ ტურაბელიძე

სიკეთის მკეთებელი პიროვნება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, პროფესორ **ალექსანდრე ღლონტის სახელი მიენიჭა ძუჩას** და **ჩიხს** საბურთალოს რაიონში,კერძოდ, ძოშიგორაზე, „თბილისი მოლის“ მოპირდაპირედ.

ალ. ღლონტი გახლდათ 56 წიგნის ავტორი, ქართული ენის კათედრის გამგე, ფართო დიაპაზონის მკვლევარი, **4 დარგის ფუძემდებელი:**

1) **ონომასტიკის — ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკისა**;

2) **ლექსიკოლოგიისა;** ერთ-ერთი ფუძემდებელი;

3)**ფოლკლორისტიკის**.

ამასთან, აღიარებული **დიალექტოლოგი, ლექსიკოგრაფი —** ასე იხსენიებენ მას **აკადემიკოსები:** თ.გამყრელიძე, ს. ჯიქია, ს.ყაუხჩიშვილი, რ.მეტრეველი, შ.ძიძიგური, **პროფ-ბი:** კ.დანელია, ივ.იმნაიშვილი, ი. მეგრელი ძე,მ. ჩიქოვანი, ი.მაისურაძე, თ.უთურგაიძე, პ.ცხადაია, აკ. გაწერელია, ალ. ფოცხიშვილი ო.ქაჯაია, ლ.კვაჭაძე, ზ.სარჯველაძე, მ.ცხოვრებოვა და სხვები.

უცხოელი ქართველოლოგები, რომლებთანაც ალ.ღლონტს ჰქონდა მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები იყვნენ: ჰაინც ფენრიხი, ვინფრიდ ბოედერი, იან ბრაუნი, ბერნარ უტიე, ვოლფგანგ ფოიერშტაინი, მარტინ იშტვანოვიჩი, ბერტოლ შპულერი, კარლ შმიდტი, რენე ლაფონი, დიანა ჰოლისკი, იოლანდა მარშევი, ლეა ფლური, რუთ ნოიკომი, ჰოვარდ არონსონი, ქევინ თუითი,ჯორჯ ჰიუიტი, ენრიკე უნდიანო, ვოლფგანგ ვერნერი,ლუიჯი მაგაროტო, ფედოტ ფილინი, გიორგი კლიმოვი, კ.ცელუიკო, ბელოდედი, კოკოვი და სხვები.

ალ. ღლონტი გახლდათ სახელმწიფო, ვაჟა-ფშაველას, სახელმძღვანელოთა რესპუბლიკური კონკურსების და სხვა პრემიების ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენით დაჯილდოებული. ამასთან: ალექსანდრე ღლონტი გახლდათ მაღალი რეპუტაციის... სიკეთის მკეთებელი პიროვნება (აკად. როინ მეტრეველი).

„კამერტონი-საქართველო“ ქუთაისში კონცერტს გამართავს

მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი

მეთორმეტე წელიწადია, რაც გერმანიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის Eurocon.e.V-ის ეგიდით ფუნქციონირებს მოზარდთა, ახალგაზრდათა მუსიკალური განათლების განვითარების, კულტურის სფეროში თანამშრომლობისა და ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების მხარდამჭერი საერთაშორისო პროექტი „კამერტონი“ (www.kammerton.eu). Eurocon.e.V-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია ცნობილი გერმანელი მოღვაწე, ქალბატონი ლიუდმილა ფონ ბერგი.


ლიუდმილა ფონ ბერგი
და კირა ლელაშვილი

პროექტ „კამერტონის“ მიზანია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა და მხარდაჭერა, ახალგაზრდა კლასიკური მუსიკოსების საერთაშორისო კარიერის ჩამოყალიბება, მასტერკლასებისა და საკონცერტო გამოსვლების ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსების შემოქმედებითი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. პროექტის მხარდამჭერები არიან გოეთეს ინსტიტუტი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ბერლინის სენატი და ა.შ.

„კამერტონის“ პარტნიორი ქვეყნების რიგს 2011 წელს საქართველოც შეემატა. „კამერტონი-საქართველოს“ მუსიკალური ხელმძღვანელია პიანისტი **კირა ლელაშვილი**. სწორედ 2011 წლიდან, რეგულარულად იმართება ქართველი ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული კამერული შემადგენლობების კონცერტები საქართველოში და საგასტროლო გამოსვლები გერმანიის ქალაქებში. საგულისხმოა, რომ ამ კამერულ ანსამბლებში მონაწილეობენ თბილისის სხვადასხვა სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები. სხვადასხვა წლებში „კამერტონი-საქართველოს“ სახელით გერმანიაში გამართულ კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მუსიკოსებმა: **ირმა გიგანმა, გიორგი ოიკაშვილმა, დავით ჯინჯიხაძემ, სანდრო სიდამონიძემ, ანი გიგაურმა, თათა მახარაძემ, ინალ ჯიოევმა, სენდი ვართანოვმა, სალომე ჟორდანიამ, ნატა როინიშვილმა, ნოდარ მდივანმა, ლევან უგულავამ, თამარ ტყაბლაძემ, თინათინ კობერიძემ, მარიამ დარჩიაშვილმა და სხვ**. წლების მანძილზე პროექტის მხარდამჭერი და ხელშემწყობია ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი (დირექტორი — **გიორგი ქორქაძე**), რომლის ბაზაზე მიმდინარეობს სარეპეტიციო სამუშაოები.

პროექტი “კამერტონი“ დიდად უწყობს ხელს ქართული საკომპოზიტორო და საშემსრულებლო სკოლის პროპაგანდას, პოპულარიზაციას საქართველოსა და გერმანიაში, ახალგაზრდების საშემსრულებლო რეპერტუარის გამდიდრებას ქართული და მსოფლიო შედევრებით, ახალგაზრდების საანსამბლო საშემსრულებლო ხელოვნების ხარისხის ამაღლებას, მათ საგასტროლო მოღვაწეობასა და შემოქმედებით წინსვლას.

„კამერტონი-საქართველომ“ წლების მანძილზე დაიმკვიდრა მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი, რასაც მოწმობს გერმანიაში, საქართველოში, სომხეთში გამართული კონცერტები, ერთობლივი შემოქმედებითი ინიციატივები, გამოხმაურებები ქართულ და გერმანულ მმედიაში, და რაც უმთავრესია, მსმენელთა ის გულწრფელი სიყვარული, რომელიც თან სდევს ამ ახალგაზრდებს სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

პანდემიის პერიოდში შეჩერდა „კამერტონი-საქართველოს“ უცხოეთში საგასტროლო გასვლები, თუმცა, მან საქართველოში გამართულ არაერთ კონცერტსა და ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. და აი, წლეულს აგვისტოში ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსები კვლავ გამართავენ კონცერტებს გერმანიის ქალაქებში.

მანამდე კი, **1 ივლისს 18 საათზე, ახალგაზრდები ქუთაისელი მსმენელების წინაშე წარსდგებიან**. „კამერტონი-საქართველოს“ შემადგენლობაში იქნებიან თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები — **გიორგი ოიკაშვილი** (კლარნეტი), **ელენე კვანტალიანი** (ფორტეპიანო), **ფალანდა ღვინჯილია** (ტენორი), ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები — **ნატალია ტურიატკო** (ვიოლინო), **ეკა ნიკოლაძე, გიორგი წიკლაური** (ფორტეპიანო). **კონცერტს უმასპინძლებს ქუთაისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზი.** ახალგაზრდების საკონცერტო პროგრამაშია მოცარტის, შუბერტის, შუმანის, ვერდის, ვენიავსკის, კრეისლერის, ჯორდანოს, მასნეს, უილიამსის, აზარაშვილის ნაწარმოებები.

ღონისძიების მთავარი ხელშემწყობია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, პროექტის პარტნიორი კი ააიპ „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“.

წარმატებას ვუსურვებთ ახალგაზრდა მუსიკოსებს!

რუსუდან ქობულია

„კამერტონი-
საქართველო“

ოლაფ შოლცი: უახლოეს მომავალში რუსეთთან პარტნიორობა წარმოუდგენელია...

გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომ რუსეთთან პარტნიორობა, როგორც ეს ნატოს 2010 წლის სტრატეგიულ კონცეფციაშია ნახსენები, უახლოეს მომავალში წარმოუდგენელია მისი აგრესიული და იმპერიალისტური პოზიციის გამო.

ნატოს სამიტისგან, რომელიც 28-30 ივნისს მადრიდში გაიმართება, ოლაფ შოლცი უკრაინის ომის ფონზე ერთიანობისა და სიმტკიცის სიგნალს ელის. ამასთანავე, გერმანიის მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ უგუნური იქნება ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტის შეწყვეტა, რადგან ეს მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტსა და მის პროპაგანდას წაადგება. გერმანიის კანცლერმა აღნიშნა, რომ 1997 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი ადასტურებს იმ პრინციპებს, რომელსაც პუტინი ასე უხეშად არღვევს — ძალადობაზე უარის თქმა, საზღვრებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემა.

უკრაინის ელჩს შოლცისთვის ბოდიშის მოხდა სურს...

გერმანიაში უკრაინის ელჩი ანდრეი მელნიკი ამბობს, რომ კანცლერ ოლაფ შოლცისთვის ბოდიშის მოხდა სურს იმის გამო, რომ მას „გაბრაზებული ძეხვი“ უწოდა.

„ეს არის განცხადება, რომლის გამოც მე, რა თქმა უნდა, ვწუხვარ. პირადად მოვიხდი მის წინაშე ბოდიშს“, — განაცხადა ელჩმა. აღსანიშნავია, რომ გერმანიის კანცლერი უკრაინაში ვიზიტით გასულ კვირას საფრანგეთის, იტალიისა და რუმინეთის ლიდერებთან ერთად იმყოფებოდა.

ბრიტანეთში ინფლაციამ 9.1 პროცენტს მიაღწია

ბრიტანეთში მიმდინარე წლის მაისში ინფლაციამ ბოლო 40 წლის მაქსიმუმს, 9.1 პროცენტს მიაღწია. ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, მაისში მთავარი ფაქტორი იყო საკვებისა და უალკოჰოლო სასმელების ღირებულების მატება, განსაკუთრებით გასული წლის იმავე პერიოდში დადასტურებულ ვარდნასთან შედარებით.

თვის მონაცემებით, სამომხმარებლო ფასები მაისში 0.7 პროცენტით გაიზარდა.

„ჩვენ ვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს ინფლაციის შესამცირებლად და მზარდი ფასების წინააღმდეგ. ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ ძლიერი ეკონომიკა დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით, პასუხისმგებლიანი ფისკალური პოლიტიკით, რომელიც არ მატებს ინფლაციურ ზეწოლას და აძლიერებს ჩვენს გრძელვადიან პროდუქტიულობას და ზრდას“, — განაცხადა ბრიტანეთის ხაზინის კანცლერმა რიში სუნაკმა.

მოწვევა წინადადებების წარმოსადგენად

ADB

თარიღი:	2022 წლის 11 მაისი
სესხის N და დასახელება:	3524-GEO: შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი
კონტრაქტის N და დასახელება:	SRIP/CW/ICB-02-Rebid: ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელ-მწიფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620 კმ 50+244) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოები
წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	თარიღი: 2022 წლის 06 ივლისი დრო: 15:00 სთ ადგილობრივი დროით

1. საქართველომ მიიღო დაფინანსება აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტის განხორციელების მიზნით. აღნიშნული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნების უფლებამოსილი მონაწილეებისათვის.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („შემსყიდველი“) იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების **შესყიდვის მიზნით** (სარეაბილიტაციო სამუშაოების ხანგრძლივობა 730 დღე).

3. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი) წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი, ერთი კონვერტის პრინციპის სატენდერო პროცედურით და ღიაა ყველა უფლებამოსილი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილესათვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაშია აღნიშნული.

4. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ უფლებამოსილ მონაწილეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (უნდა იყოს თუ არა მონაწილე ერთობლივი საწარმო, ან როგორ იქნება გამოყენებული ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში):

მიმდინარე სასამართლო დავები: ყველა მიმდინარე სასამართლო დავა და განხილვები არბიტრაჟში (მათი არსებობის შემთხვევაში) ჩაითვლება ტენდერში მონაწილის წინააღმდეგ გადაწყვეტილად და საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ტენდერში მონაწილის წმინდა მოგების 50 პროცენტს, რაც წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის.

ფინანსური სიტუაცია:

- ტენდერში მონაწილის გასული წლის წმინდა მოგება უნდა იყოს დადებითი; წმინდა მოგების წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის;
- მინიმალური საშულო წლიური სამშენებლო ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს 18,000,000 აშშ დოლარზე ნაკლები. საშუალო ბრუნვა შეადგენს მიმდინარე და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული დადასტურებული გადახდების ჯამს; და
- ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს რომ მისი თავისუფალი ფინანსურ რესურსები შეადგენს არანაკლებ 3,000,000 აშშ დოლარს, რაც გაანგარიშდება მისი ფინანსური რესურსებისთვის მისი მიმდინარე საკონტრაქტო ფინანსური ვალდებულებების გამოკლების გზით.

საკონტრაქტო გამოცდილება: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებული სამუშაოების მსგავსი მინიმუმ ერთი კონტრაქტის წარმატებით ან არსებითად დასრულების გამოცდილება ღირებულებით 14,400,000 აშშ დოლარი. მსგავსება უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოების ფიზიკურ მოცულობას, ხასიათს, სირთულეს, მეთოდებს, ტექნოლოგიას და სხვა მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია დამკვეთის მოთხოვნებში;

სამშენებლო გამოცდილება შემდეგი სამუშაოები შერულებაში:
ტენდერში მონაწილეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ შემდეგი სამუშაოების შესრულების გამოცდილება:

- ასფალტ-ბეტონის საფარიანი მინიმუმ 10 კმ 2 ზოლიანი ან ეკვივალენტური გზის სამშენებლოჰსარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება ნებისმიერ ერთ წელიწადში ბოლო 5 წლის განმავლობაში და
- საგზაო ხიდების მშენებლობის გამოცდილება საერთო ფართობით 2,000 მ^2 ერთ წელიწადში;

5. შემდგომი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:
ლევან კუპატაშვილს
მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №12
ტელ: (+995 32) 2 37 05 08
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ინგლისურ ენაზე გთხოვთ მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@georoad.ge და მოითხოვოთ სატენდერო დოკუმენტაცია „ძირულა-ხარაგაული-მოლითი-პონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწი-ფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის“.

7. თქვენი სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგინეთ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, მე-4 სართული, კანცელარია.
- სატენდერო წინადადებების წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს **2022 წლის 06 ივლისის 15:00 საათამდე (თბილისის დრო);**
- სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული.

8. სატენდერო წინადადებების გახსნა განხორციელდება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადის გასვლისთანავე **2022 წლის 06 ივლისი 15:00 საათზე (თბილისის დრო)** იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დაესწრონ გახსნის პროცედურას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
მე-3 სართულის საკონფერენციო დარბაზი

INVITATION FOR BIDS

Date:	May 11, 2022
Loan No. and Title:	3524-GEO: Secondary Road Improvement Project
Contract No. and Title:	SRIP/CW/ICB-02-Rebid: Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244
Deadline for Submission of Bids:	Date: **July 06, 2022** Time: 15:00 hours local time

1. Georgia has received financing from the Asian Development Bank toward the cost of Secondary Road Improvement Project. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (“the Employer”) invites sealed bids from eligible Bidders for the Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from km 24+620 to km 50+244 Construction period is 730 days.

2. International competitive bidding will be conducted in accordance with ADB’s Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible countries as described in the Bidding Document.

3. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder’s net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:

- The Bidder’s net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive;
- Its minimum average annual construction turnover within the last Three (3) years must not be less than USD 18,000,000 (Eighteen Million United States Dollars) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed; and
- Bidder must demonstrate that its financial resources less its financial obligations for its current contract commitments are not less than USD 3,000,000 (Three Million United States Dollars).

Construction Experience:
Participation in at least **one contract** that have been successfully or substantially completed within the last five (5) years and that are similar to the proposed works, where the value of the Bidder’s participation exceeds USD 14,400,000 (Fourteen Million and Four Hundred Thousand US Dollars). The similarity of the Bidder’s participation shall be based on the physical size, nature of works, complexity, methods, technology or other characteristics as described in the Employer’s Requirements.

Construction experience in the following key activities:
Minimum construction experience in the following key activities:

- Construction/Rehabilitation of at least 10 km of 2 lane or equivalent road with Asphalt-concrete surface in any one year; and
- Construction of road bridges with a total combined bridge deck area of at least 2,000 m2 in one year.

4. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:
Mr. Levan Kupatashvili
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

5. To obtain the bidding documents in English, eligible bidders should

- Send an e-mail to info@georoad.ge requesting the Bidding Documents for **Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244**

6. Deliver your bid

- to the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. Street address: Al. Kazbegi Avenue #12. Floor/Room number: IV Floor, Chancellery;
- on or before the deadline: Date: **July 06, 2022, 15:00 hours** (local time);
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.

Bids will be opened on **July 06, 2022 15:00 hours** (local time) in the presence of Bidders’ representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: 12 Al. Kazbegi Avenue
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

◎ მოვლენა

ზღაპარი წყალში

დაგვეთანხმებით, თავისთავად ის ფაქტი, რომ საქართველო სპორტის რომელიმე სახეობაში ბრაზილიას დაამარცხებს, უკვე მოვლენაა, მაგრამ როცა ეს მსოფლიოს ჩვენთვის სადებიუტო ჩემპიონატზე ხდება, ზღაპარს ჰგავს.

მოგეხსენებათ, აგრესორი რუსეთისთვის სანქციების დაწესების შემდეგ დეიან სტანოიევიჩის გაწვრთნილ „ჯვაროსნებს“ ბუდაპეშტში დაწყებული მე-19 მუნდიალის ფინალურ ტურნირში ისტორიული თამაშის პატივი ხვდათ წილად, პირველ მეტოქედ კი **„ა“ ჯგუფში** ბრაზილია ჰყავდათ.

მსოფლიოს ლიგის მესამეადგილოსანი, პანამერიკული თამაშების ჩემპიონი და 6-ნ ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი და ოლიმპიადების 8-გზის მონაწილე მე-10 ჩაება პლანეტის პირველობაზე, აქედან მე-5 – ზედიზედ და ამას ტრადიციულ მოქიშპესთან – არგენტინასთან შესარჩევ ომში მიაღწია – 12:11.

მართალია, შთამბეჭდავი გამოცდილებაა, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო საამაყო წარსული გვაქვს სატრაბახოდ, რასაც ამ ქვეყნის გუნდთან უშუალო შეხვედრებში მოპოვებული უპირატესობა უნდა დაემატოს: 2016 წლის იანვარში სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გამართულ ამხანაგურ მატჩში დამსახურებული გამარჯვება – 9:8 და შარშან ჰოლანდიურ როტერდამში ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რაუნდში კიდევ უფრო დამაჯერებლად ძლევა 12:8.

და კიდევ: აღნიშნული ბრძოლის წარმატებით დასრულება, უნგრული ფორუმის ფორმატის გათვალისწინებით, თითქმის ავტომატურად წყვეტდა პლეი-ოფში გასვლის საკითხს.

საქართველო - ბრაზილია 14:10
(2:2, 3:3, 6:3, 3:2)

გოლები: ვაპენსკი, სარიჩი – 4-4, შუშიაშვილი, ელაჩა – 2-2, იმნაიშვილი, ადეიშვილი 1-1 (საქართველო), ფრეიტაში – 4 (ბრაზილია).

ეს მშრალი საოქმო ციფრებიც მოწმობს, რომ სამხრეთამერიკელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა შესვენების შემდეგ დავძლიეთ, რაც ჩვენებურთა ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებსა და ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე მეტყველებს. რასაკვირველია, ქებათაქება თითოეულ მათგანს, მაგრამ მაინც განსაკუთრებით გამოსარჩევად გვესახება პარტნიორთა წარმატებაში პირველი ისტორიული გოლის ავტორის – **ბორის ვაპენსკისა** და ქართული წყალბურთის მომავლის – **ნიკა შუშიაშვილის** შეტანილი წვლილი, რომელმაც წლეულს ჯერ სერბეთის ჩემპიონატი მოიგო, შემდეგ – ადრიატიკის ლიგა და ბოლოს „ნოვი ბელგრადში“ გატარებული პირველი დიდებული სეზონი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტობით დააგვირგვინა!

იმავე დღეს უმთავრესმა ფავორიტმა მასპინძლებმა მონტენეგრო დაჯაბნეს – 12:8. დავძენთ, რომ მადიარებს განვლილი 18 მუნდიალიდან 3 აქვთ მოგებული და 7 გადამწყვეტი დუელი წაგებული, ტიტულებით კი მხოლოდ 4-გზის გვირგვინოსანს იტალიას ჩამოუვარდებიან.

◎ ბრძენთა თამაში

ერიც და ბერიც

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, 2022-2023 სასწავლო წლიდან ქვეყნის საჯარო სკოლების პირველი კლასების პროგრამას ჭადრაკი სავალდებულო საგნად ემატება, მეორე-მესამე კლასებში კი არჩევითი იქნება.

როგორც საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, აღნიშნული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივას, ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციასთან პარტნიორობით ჩაეტარებინა საქართველოს პირველი ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორც სასულიერო პირები, ისე ერისკაცები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გუნდმა ტურნირის პირველი ეტაპის ღირსეულად გადალახვის შემდეგ წარმატებით ითამაშა ფინალურ რაუნდში და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. გაგაცნობთ მის შემადგენლობას: ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტი **ანტონ ბულუხია,** დეკანოზები **ლევან ალადაშვილი, იოანე გორელიშვილი, ნიკოლოზ ტატუაშვილი, არჩილ ხაჩიძე** და **იაკობ ჩიჩილიძე.**

პრიზიორებსა და მონაწილეებს საპატიო ჯილდოები და სიგელები გადასცეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ **ზაზა ვაშაყმაძემ** და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ.**

◎ ტატამზე

ალბათ, რინერთან...



მართალია, ძიუდოისტთა უახლოეს გრანდ სლემს მონღოლეთის დედაქალაქი ულან ბატორი უმასპინძლებს, მაგრამ რადგან იქ საჭიდაოდ რუსები დაუშვეს, საქართველოს ნაკრებმა ასპარეზობაზე პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა და ძალებს 14-წევრიანი დელეგაციით (11 კაცი, 3 ქალი) 8-10 ივლისს ბუდაპეშტის გრანდ სლემზე მოსინჯავს.

უნგრულ ტატამზე „ჯვაროსანთა“ სპორტულ ღირსებას დაიცავენ:

ვაჟთა ნაკრები

ლუხუმ ჩხვიმიანი, თემურ ნოზაძე (60). ვაჟა მარგველაშვილი, გიორგი თუთაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ტატო გრიგალაშვილი (81), ბექა ღვინიაშვილი (90), ვარლამ ლიპარტელიანი, ონისე სანებლიძე (100), გელა ზაალიშვილი, გურამ თუშიშვილი (+100).

ქალთა ნაკრები

ეთერ ლიპარტელიანი (57), მარიამ ჭანტურია (78), სოფიო სომხიშვილი (+78).

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფრანგთა წინასწარ განაცხადში ლეგენდარული მძიმეწონოსანი ტედი რინერი გვხვდება, დიდია ალბათობა მას **ლაშა გუჯეჯიანის** გაწვრთნილი გუნდის ერთ-ერთ ლიდერთან გურამ თუშიშვილთან მოუწიოს მესამედ შებმა, რომელსაც აქამდე ორივე ბრძოლა მოუგო.

შეგახსენებთ, რომ მადიარებმა გრანდ სლემი უკანასკნელად 2020 წელს მიიღეს და მაშინ 6 „ჯვაროსნიდან“ ბრინჯაო გელა ზაალიშვილმა და ლევან მატიაშვილმა მოიპოვეს.

◎ მერიდიანი

უკვე - ტაჯიკეთშიც...

სად არ მიუღწევიათ წარმატებისთვის ჩვენებურებს, მაგრამ ის, რაც ამ დღეებში შუა აზიაში ხდება, მნიშვნელობით ბევრს აღემატება.

საუბარია ტაჯიკეთის ნაკრების ტრიუმფზე, რომელიც პირველად გავიდა კონტინენტის თასის ფინალურ ეტაპზე, ეს მოვლენა კი საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდების ყოფილ თავკაცს **პეტარ შეგრტს**, ქვეყნის ნაკრების ვეტერან მცველს **გელა შეყილაძესა** და როგორც სფფ-ს ექს-თანამშრომელსა და „ჯვაროსანთა“ სტაფის წევრს, ისე თბილისის „ლოკომოტივის მენეჯერს **თამაზ ბოკერიას** უკავშირდება. დიახ, სწორედ აღნიშნული ტრიოს სულ რაღაც 141-დღიანი ნაყოფიერი მოღვაწეობით გამოიჭედა იქაური ფეხბურთის საარაკო გამარჯვება, რის თაობაზეც ეს უკანასკნელი გვესაუბრება:

– საქართველოდან წასვლის შემდეგ შეგრტი თანმიმდევრობით ავარჯიშებდა ინდონეზიას, მალდივებსა და ავღანეთს, სადაც ასისტენტობას შეყილაძე უწევდა, ასე რომ, იგი აზიაში საკმაოდ დაფასებული ფიგურაა და კარგად იცოდა, როგორი ოსტატებისთვის უნდა გაეწია მწვრთნელობა.

პირდაპირ მოვჭრი – ტაჯიკები მაღალი კლასით გამოირჩევიან და სათამაშო სტილით ქართველებს ჰგვანან – ტექნიკურები არიან და შესანიშნავად ფლობენ ბურთს. გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა უზბეკეთში გამართული საერთაშორისო ტურნირი, სადაც მხოლოდ ორი სრულფასოვანი ვარჯიშის მიუხედავად, ფრედ ვეთამაშეთ უგანდის ძლიერ გუნდს და მესამე ადგილი დავიკავეთ.

რაც შეეხება უშუალოდ შესარჩევ ბატალიებს, დავამარცხეთ მიანმა და სინგაპური, ფრედ დავასრულეთ შეხვედრა ყირგიზეთთან და ბურთების შეფარდებით 5:0 ჯგუფურ რაუნდში პირველი ადგილი დავიკავეთ.

თავიდან ცნობილი იყო, რომ აზიის თასისთვის ჩინეთს უნდა ემასპინძლა, მაგრამ კოვიდპანდემიის გამო გადაწყვეტილება შეიცვალა და მომავალი ორგანიზატორი სახელმწიფოს ვინაობა მალე გაირკვევა.

ალბათ, საინტერესოა, რომ ჩვენი ლეგიონერები ირანულ, ფილიპინურ, უზბეკურ და ყაზახურ კლუბებში თამაშობენ, პეტარ შეგრტს კი გელასთან და ჩემთან ერთად ასისტენტობას მეკარეთა ადგილობრივი და ფიზმომზადების მონტენეგროელი სპეციალისტები ვუწევთ.

დავძენ, რომ ის საყოველთაო ზეიმი, რაც დუშანბეს ქუჩებში დღემდე გრძელდება, ტაჯიკეთის ფეხბურთის ფედერაციისა და ქვეყნის წამყვანი კლუბის „ისტოქლოლის“ ხელმძღვანელობის სამაგალითო თანადგომის შედეგია. არანაკლებ მეამაყება, რომ აქ ზეპირად ახსოვთ „დინამოს 1981 წლის ვარსკვლავური შემადგენლობა, დიდი ნოდარ ახალკაცი, „გურია“, ქუთაისის „ტორპედო“ და ბათუმის „დინამო“.

◎ კორტზე

მოვითმინოთ 3-4 თვე...



თითქოს მივივიწყეთ მუხლის ქრონიკული ტრავმით გატანჯული 40 წლის შვეიცარიელი ლეგენდა **როჯერ ფედერერი,** მაგრამ მორიგი ოპერაციის შემდეგ თვით დიდი სლემის ტურნირების 20-გზის ჩემპიონმა შეგვახსენა თავი და განაცხადა, აპირებს თუ არა კორტზე დაბრუნებას ერთწლიანი უქმობის კვალად, რაც უიმბლდონზე დაშავებამ გამოიწვია:

„დიახ, რა თქმა უნდა, თუმცა ჯერ ზუსტად არ ვიცი, სად და როდის, მაგრამ ეს ჩემი გეგმაა. წლევანდელი სეზონისთვის ლეიევერის თასისა და მშობლიური ბაზელის ტურნირის გარდა არაფერი დამიგეგმავს, მაგრამ ბაზელის შემდეგ სეზონი ნებისმიერ შემთხვევაში დასრულებული მექნება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ისევ ავკრიფო ოპტიმალური კონდიციები, რათა სრულფასოვნად შევძლო ვარჯიში, ეს კი საშუალებას მომცემს, არჩევანი გავაკეთო, რამდენ და კონკრეტულად რომელ ტურნირში ვითამაშო. ლეიევერის თასი კარგი დასაწყისია, რადგან იქ არ არის საჭირო 6 დღეში 5 მატჩის ჩატარება. ამის შესაძლებლობა ბაზელში უნდა მომეცეს და ყველაფრისთვის ვარჯიშებზე უნდა მოვემზადო.

თვითონაც მაინტერესებს, როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში, მაგრამ იმედიანად ვარ, რადგან დიდი გზა გავიარე და შორს არ ვარ პიკისგან. უახლოესი 3-4 თვე გადამწყვეტი იქნება“.

რუსთავში კიდევ ერთი სკვერი ჟიული შარტავას სახელობის იქნება

რუსთავში, კიდევ ერთი სკვერი გაიხსნა. მე-8 მიკრორაიონის №12 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ მოწყობილი ახალი რეკრეაციული სივრცე, საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელობის იქნება.

რუსთავის მერიის ინფორმაციით, ახალი მულტიფუნქციური სკვერი, რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად გახსნა. სკვერის გახსნას, რუთავის მაჟორიტარი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ილია ჯალაღანია და სხვა მიწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი ძალიან ლამაზი და გამწვანებული სივრცე შეემატა. სულ რამდენიმე თვის წინ, როდესაც მოსახლეობას შევხვდით, ამ ადგილზე არაფერი არ იყო. მიხარია, რომ ამ უბნის მოსახლეობის თხოვნის შესრულება ასე მალე შევძელით. სწორედ მოსახლეობამ გვიამბო, რომ ჩვენი ეროვნული გმირი ჟიული შარტავა აქ ხშირად მოდიოდა და სწორედ მისი სურვილი იყო, რომ ამ ტერიტორიაზე სკვერი გაშენებულიყო. ამიტომაც გაგვიჩნდა იდეა, რომ ეს ახალი რეკრეაციული სივრცე ჟიული შარტავას სახელობის იყოს“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

მრავალფუნქციურ რეკრეაციაში, 11000-მდე კვადრატულ მეტრ ფართობზე, საბავშვო და სპორტული სივრცეები, საფეხმავლო და ველობილიკები, გარე განათების სისტემა, ამფითეატრი და დასასვენებელი ზონებია მოწყობილი, დენდროლოგიური პროექტის ფარგლებში კი 206 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეა დარგული. პროექტის ღირებულება 1 მლნ 224 439 ლარია.

სკვერის ტერიტორიაზე, ჟიული შარტავას ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა მოეწყო. ღონისძიება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის კონცერტით – „ქართული კინომუსიკა“ დასრულდა.

როგორი იქნება ექადიის ტყე-პარკი რეაბილიტაციის შემდეგ?

„ოზურგეთში, ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაცია იწყება. პროექტის ბიუჯეტი 1 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს“, – ამის შესახებ ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე სოციალურ ქსელში წერს. ექადიის ტყე-პარკი, რომელიც საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გაკეთდება, სრულად მოწესრიგებული საზოგადოებრივი სივრცე იქნება.

„როგორც ჩვენს თანამოქალაქეებს დავპირდით, ვიწყებთ ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაციას, სადაც უნიკალური ეკოსისტემაა. არსებული ლანდშაფტის, მწვანე ნარგავების სრული დაცვით და შენარჩუნებით, ვგეგმავთ, რეკრეაციული ზონების მოწყობას, სასეირნო ბილიკების გაკეთებას, დასასვენებელი სკამებისა და ლამპიონების მონტაჟს. მნიშვნელოვანია, რომ ექადიის ტყე-პარკი გახდეს ქალაქ ოზურგეთის ერთ-ერთი გამორჩეული ლოკაცია და სანაპიროს ქუჩას საფეხმავლო ხიდით დაუკავშირდეს,“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე-თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

შპს „გზასერვისის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჩვენი ღირსეული წევრის, ბატონი

თეიმურაზ ბახუტაშვილის

გარდაცვალების გამო. უსამძიმრებს მის ოჯახს და ახლობლებს ამ უმძიმეს დანაკლისს.

მარიამ ღვთისმშობლის ხატის „ღირსი არს“ დღესასწაული

24 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „ღირს არს“ – (მოწყალე) ხსენებას.

...ათონზე კონსტანტინე დიდის მიერ დაარსებულ მონასტერში არის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც ღირს არსი ეწოდება. აი, რატომაა განსაკუთრებულად განდიდებული ეს ხატი:

–ერთხელ აღდგომის დღეს, ღამისთევაზე დასასწრებად ერთი ბერი კარეასის ეკლესიაში წავიდა, თავისი მოწაფე სენაკის სადარაჯოდ დარჩა, და უბრძანა, რომ მსახურება შინ შეესრულებინა. დაღამებისთანავე მან კაკუნი გაიგონა. როდესაც კარი გამოაღო და დაინახა უცნობი ბერი, რომელიც პატივით მიიღო, როცა ღამისთევის ლოცვის აღსრულების დრო დადგა, მათ ერთად დაიწყეს გალობა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებლად მათ წამოიწყეს კოზმა მაიუმელის ძეგლი საგალობელი. მაგრამ საოცარმა სტუმარმა თქვა, რომ ჩვენთან ასე ადიდებენო ღვთისმშობელს: „ღირს არს ჭეშმარიტად რათა გადიდებდეთ შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩვენისა“... ახალგაზრდა ბერს გული აუჩუყდა, როცა ჯერ არსმენილი გალობა გაიგონა და სტუმარს ვედრება დაუწყო, რომ ღვთისმშობლის ამგვარი დიდება მისთვისაც ესწავლებინა, მაგრამ სენაკში არც მელანი და არც ქაღალდი არ აღმოჩნდა. მაშინ სტუმარმა გადაწყვიტა, საგალობელი ქვაზე დაეწერა. საოცარი სტუმრის ხელში ქვა ცვილივით დარბილდა და სიტყვები ღრმად ამოიკვეთა. ...მორჩილმა ბერს ქვა აჩვენა... ამ ამბის შემდეგ წმიდა მთის ეკლესიაში ღვთისმშობელს ახლებურად ადიდებდნენ. თურმე ეს უცნაური სტუმარი მთავარანგელოზი ყოფილა. მას შემდეგ ეკლესიები მთავარანგელოზ გაბრიელის გალობას აღასრულებენ.

გიული ლიპარტია

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამარ ინწკირველის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამარ ინწკირველი (პ/ნ 01019020551), თბილისი, ც. დადიანის 323, სად. 4, სართ. 4, ბინა №31

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ც. დადიანის 323, სად. 4, სართ. 4, ბინა №31 (საკადასტრო კოდი: 01.12.11.001.002.01.031).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 123913 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 24 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP79922022; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 799220

6. **მოვალე:** თამარ ინწკირველი (პ/ნ 01019020551), თბილისი, ც. დადიანის 323, სად. 4, სართ. 4, ბინა31;

ალექსანდრე გუჯეჯიანი (პ/ნ 01011012417), თბილისი, ც. დადიანის 323, სად. 4, სართ. 4, ბინა 31

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP79922022; ლოტის ნომერი: 799220).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 1 ივლისის 10:00 საათამდე.

ვენა – ყველაზე კომფორტული ქალაქი

Economist Intelligence Unit-ის ყოველწლიური რეიტინგის მიხედვით, 2022 წელს საცხოვრებლად ყველაზე კომფორტული ქალაქი ვენაა. ავსტრიის დედაქალაქმა ეს ტიტული უკვე მესამედ დაიმსახურა. ვენა რეიტინგის სათავეში სტაბილური პირობების, კარგი ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის სისტემის, კულტურისა და გართობის სფეროში მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამო მოხვდა.

მეორე ადგილზე დანიის დედაქალაქი კოპენჰაგენია, მესამე კი შვეიცარიის ქალაქმა ციურიხმა და კანადურმა კალგარიმ გაინაწილეს.

საუკეთესო ათეულში ასევე შევიდნენ: **ჟენევა (შვეიცარია), ფრანკფურტი (გერმანია), ამსტერდამი (ნიდერლანდები), ტორონტო (კანადა), ოსაკა (იაპონია), მელბურნი (ავსტრალია).**

ბოლო ადგილი რეიტინგში კვლავ სირიის დედაქალაქ დამასკოს ხვდა წილად. უკრაინაში მიმდინარე ომის გამო წელს რეიტინგის ავტორებმა კიევი სიაში არ შეიყვანეს.

წიგნი 53 წლის შემდეგ დააბრუნა

ბრიტანეთში, შრუსბერის ბიბლიოთეკიდან 1969 წლის 14 მაისს გატანილი წიგნი მკითხველმა 2022 წელს დააბრუნა. როგორც კაცმა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უთხრა, ბავშვობაში ბიბლიოთეკიდან ხშირად გაჰქონდა წიგნები, თუმცა, ერთ-ერთი მათგანის დაბრუნება დაავიწყდა და მას ახლახან, ნივთების დალაგების დროს წააწყდა.

წიგნის დაბრუნებისთვის განსაზღვრული დროის გადაცილებისთვის, კაცს ჯარიმის გადახდა უწევდა, თუმცა ბიბლიოთეკამ მას ეს ვალდებულება მოუხსნა.

ყველაზე გრძელყურა თიკანი

პაკისტანში დაბადებულმა თიკანმა თავისი უჩვეულოდ გრძელი ყურებით შესაძლოა მსოფლიო რეკორდი დაამყაროს. ცხოველი რამდენიმე დღის წინ დაიბადა, თუმცა უკვე ადგილობრივი მედიასაშუალებების ვარსკვლავი გახდა. მას სიმბა დაარქვეს. ის ნუბიური ჯიშისაა, რომლის წარმომადგენელთა გრძელი ყურები თერმორეგულაციის ფუნქციას ასრულებს.

თუმცა სიმბას ყურების სიგრძე 46 სანტიმეტრია, რაც ამ ჯიშისთვის უჩვეულოდ დიდია. სავარაუდოდ, ამის მიზეზი გენის მუტაცია ან გენეტიკური აშლილობაა, თუმცა ცხოველს ჯანმრთელობის პრობლემები არ აღენიშნება. მის პატრონს იმედი აქვს, რომ ცხოველი ამ მაჩვენებლით გინესის რეკორდების წიგნში მოხვდება, თუმცა ამ ეტაპზე ორგანიზაციას თხების ყურების სიგრძის კატეგორია არ აქვს.

პირველი შავკანიანი – დაუოკებელი მოგზაური

ამერიკელი ინფლუენსერი ჯესიკა ნაბონგო პირველი შავკანიანი ქალი გახდა, ვინც მსოფლიოს 195-ვე ქვეყანაში იმოგზაურა. რამდენიმე დღის წინ ქალმა წიგნი გამოუშვა, სახელწოდებით „დამიჭირე, თუ შეძლებ“, რომელშიც თავის თავგადასავალს აღწერს. ნაბონგო იხსენებს, რომ ყველა ქვეყნის მონახულება 2017 წელს გადაწყვიტა. ამ მიზნის განსახორციელებლად მას 2 წელი მილიონობით მილის დაფარვა და 450 ფრენა დასჭირდა. ბოლო, 195-ე ქვეყანაში, სეიშელებზე, ის 2019 წლის ოქტომბერში ჩაფრინდა.

ნაბონგო აშშ-ში, დეტროიტში დაიბადა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ის 2 წლის განმავლობაში ფარმაცევტულ კომპანიაში მუშაობდა, შემდეგ იაპონიაში ინგლისურს ასწავლიდა, მერე კი გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის სამსახურში კონსულტანტად მუშაობდა. ქალი ამბობს, რომ ამერიკული პასპორტი მას დიდ უპირატესობას ანიჭებდა, თუმცა მას უგანდის მოქალაქეობაც აქვს. ქალი აღნიშნავს, რომ უგანდის პასპორტით მან 40 ქვეყანაში შეძლო უპრობლემოდ შესვლა, მათ შორის იმ სახელმწიფოებში, სადაც აშშ-ის მოქალაქეებს მოგზაურობა აკრძალული აქვთ (მაგალითად, ჩრდილოეთ კორეაში). ნაბონგოს იმედი აქვს, რომ მისი ისტორია სხვებისთვის შთაგონების წყაროდ იქცევა და საკუთარი ოცნებების ახდენაში დაეხმარება.

მარადონას ექიმები სასამართლოს წინაშე წარდგებიან

ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელის, დიეგო მარადონას ექიმები სასამართლოს წინაშე წარდგებიან — მათ ბრალად ედებათ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა. სასამართლო სხდომის გამართვის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. გამოძიების მტკიცებებით, პაციენტი ნაადრევად გაწერეს საავადმყოფოდან, მისმა ექიმებმა კი სათანადო მოვლა ვერ უზრუნველყვეს.

ბრალდებულებს შორისაა მარადონას პირადი ექიმი, ნეიროქირურგი ლეოპოლდო ლუკე, ფსიქიატრი აგუსტინა კოსაჩოვი ფსიქოლოგი კარლოს დიასი, მედდები და სანიტრები. არც ერთი მათგანი საკუთარ ბრალს არ აღიარებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ 8-დან 25 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

მარადონა 2020 წლის ნოემბერში 60 წლისა გარდაიცვალა. ოფიციალურ მიზეზად გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის დარღვევა დასახელდა.

უკრაინას ამერიკული რობოტი ძაღლი განაღმავს

აშშ-ის არმია უკრაინას კიევის შემოგარენის განაღმვისთვის რობოტ ძაღლს Spot от Boston Dynamics-ს გაუგზავნის. აშშ-ის არმია დათანხმდა უკრაინას თავისი ორი რობოტიდან ერთი გაუგზავნოს.

აღნიშნულია, რომ სამუშაოს შეასრულებს ამერიკული არაკომერციული ორგანიზაცია HALO Trust. ორგანიზაცია ატარებს ჰუმანიტარულ განაღმვით სამუშაოებს — აღმოფხვრის საფრთხეებს, ეძებს აფეთქებადსაშიშ საგნებს, ნიშნავს ტერიტორიებს, ადგენს რუკებს, ასუფთავებს ტერიტორიებს საშიში საგნებისგან, კერძოდ, ხაფანგი-ნაღმებისგან. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის შეჭრის შედეგად საჭიროა უკრაინის 30 მლნ ჰექტარის ტერიტორიის განაღმვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 ივნისს

ყურადღება!

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის მორიგი, №6 (17) ყრილობა ჩატარდება 2022 წლის 2 ივლისს, შაბათს, ჟურნალისტთა კავშირის სააქტო დარბაზში. მისამართი — ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 17 ე (ყოფილი 17 ა), მცირე აკადემიის შენობა. დასაწყისი — 14 საათზე. დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 13 საათიდან.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9326; ევრო - 3.0857
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5954;
100 რუბლი - 5.5558; თურქული ლირა - 0.1689;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7292;
1000 სომხური დრამი - 7.1591.

ამინდი 24 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+15,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge